საპარლამენტო ოპოზიცია აქციას გეგმავს A2

მოსკოვი საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგიის კონცეფციით აღშფოთებულია A2

საქართველოს 28 წლის მოსამართლეები ეყოლება A4

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 2 დეკემბერი, 2005 წელი. №267 (1167)

ფასი 50 თეთრი

ამბები

ოპოზიციური ფრაქციები ფინანსთა სამინისტროს აკრიტიკებენ

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გადაჭარბებით შესრულებამ ხარჯების დაფინანსებაში პრობლემები წარმოშვა. აღნიშნული საკითხი გუშინ, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე ოპოზიციასა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებს შორის დაპირისპირების მიზეზი გახდა.

A2

უცხოეთი

არაღიარებულ „სახელმწიფოთა" შეხვედრა ქონევაში

რუსული არასამთავრობო ფონდის "თავისუფალი ევროპა"-ს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში მონაწილეობას იღებენ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებული არაღიარებული რესპუბლიკებისა და ხალხების - აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, მთიანი ყარაბაღის, დნესტრისპირეთის იმიერკარპატეთის რუსინების წარმომადგენლები.

A3

სამართალი

გალის რაიონში სიტუაცია კვლავ გამწვავდა

გუშინ გალის რაიონში აფხაზური სპეცდანიშნულების რაზმის მობილიზება მოხდა.
ამის მიზეზი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტის ზონაში, სოფელ ფიჩორში მომხდარი სროლები გახდა.

A4

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

ამინდი

	2/12	3 /12
თბილისი	16	13
ტყიბული	18	18
სოხუმი	17	17
დმანისი	13	11
გორი	15	15
ონი	12	11
ზუგდიდი	20	20
ახმეტა	15	13
გაგრა	15	17
სამტრედია	20	20

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.7925
ევრო	2.1130
გირვანქა სტერლ.	3.0861
რუბლი	0.0623

ამბები	A 2
უცხოეთი	A 3
სამართალი	A 4
რევიუ	A 5
საზოგადოება	A 6
სპორტი	A 7
რეკლამა	A 8

მნიშვნელოვანი განცხადებები კიევში

გაზი ეკონომიკას დაარტყამს, მაგრამ დემოკრატიას ვერ ჩაახშობს

ასეთი შინაარსის განცხადება საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გუშინ კიევში გააკეთა. **"მე არც განვიხილავ საქართველოს დსთ-დან გამოსვლის შესაძლებლობას. ასეთი განზრახვა არ მაქვს. მე ვარ ადამიანი, რომელიც პრაგმატულ გადაწყვეტილებებს ღებულობს,"** - განაცხადა სააკაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას. თუმცა, მისი თქმით, **"დსთ-ში გარკვეული პრობლემები არსებობს"**.

პრეზიდენტის თქმით, **"დსთ-დან გამოსვლის საკითხი საქართველოს პარლამენტში განიხილება. მაგრამ არ უნდა ველოდოთ, რომ პარლამენტი ასეთ გადაწყვეტილებას ერთბაშად მიიღებს"**.

მიხეილ სააკაშვილი ასევე რუსეთის მიერ საქართველოსთვის გაზის ტარიფის გაზრდის თემასაც შეეხო. **"ეს წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილებაა და არა ეკონომიკური. ამისთვის არანაირი ეკონომიკური გათვლები არ გაკეთებულა,"** - განაცხადა სააკაშვილმა. მისი შეფასებით, **"გაზის გაძვირება ქართულ ეკონომიკას დაარტყამს, თუმცა საქართველოს დემოკრატიულ განწყობას ვერ ჩაახშობს."** მისი თქმით, **"ამ გაზის ძირითადი მომხმარებლები საქართველოში რუსული კომპანიებია და ყველაზე დიდი ზიანი მათ მიადგებათ"**.

თუმცა, პრეზიდენტმა გამოთქვა იმედი, რომ ამ საკითხზე ურთიერთსასარგებლო შეთანხმებები იქნება მიღწეული.

საქართველოს პრეზიდენტი უკრაინის დედაქალაქში "დემოკრატიული არჩევანის თანამეგობრობის" დამფუძნებელ ფორუმში მიიღებს მონაწილეობას, რომელიც დღეს გაიხსნება. ფორუმის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ლიტვის, ესტონეთის, ლატვიის, რუმინეთის, მაკედონიის, სლოვენიისა და უნგრეთის პრეზიდენტები, ასევე ეუთო-ს გენერალური მდივანი მარკ პერენ დე ბრიშამბო და ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ტერი დევისი.

24 საათი

თვითმმართველობა „სახალხო ფორუმის" მთავარი აქცენტი

თამარ მაისურაძე



რეზო შავიშვილმა, თავის დროზე, ასევე გახსნა "ნაციონალების" პირველი ფორუმი.

ბესო გელაშვილის ფოტო

ვისაც ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში "ნაციონალური მოძრაობის" პირველი შეკრება ახსოვს და "სახალხო ფორუმის" გუშინდელ დამფუძნებელ კრებასაც დაესწრო, თვალში საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე რეზო შავიშვილი მოხვდებოდა, რომელიც რამდენიმე წლის წინ "ნაციონალების" შეკრების "წამყვანიც" გახლდათ. "ნაციონალებისთვის" ფეხბედნიერმა შავიშვილმა როგორც განაცხადა, გუშინ შეკრებილები ხელისუფლებაში მოსვლას არ ფიქრობენ, თუმცა... **"ვინ იცის, რა ხდება,"** და სიტყვა, მიწვეული სტუმრებიდან პირველად, "რესპუბლიკური პარტიის" წევრს დავით ბერძენიშვილს გადასცა.

გაგრძელება A2 გვერდზე

წინ, ევროპისაკენ

უკრაინას საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნის სტატუსი მიანიჭეს

დემოკრატიული ლოზუნგებით ქვეყნის სათავეში მოსული "ნარინჯისფერი" ხელისუფლება არასოდეს უშვებდა შესაძლებლობას, რათა ხმამაღლა დაეფიქსირებინა თავისი პროდასავლური მისწრაფებები. ამის შესახებ ევროპაშიც კარგად იციან და, როგორც ჩანს, უკრაინის მისწრაფებას არცთუ ცუდად ხვდებიან.
"უკრაინა-ევროკავშირის" თანამშრომლობის ფორმატში გუშინდელმა შეხვედრამ კიევში კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ამ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკას გაცილებით უკეთესი შანსი აქვს გაერთიანებულ ევროპას შეუერთდეს, ვიდრე, მაგალითად, თურქეთს.

უკრაინის სტრატეგიული მიზანი რომ ევროკავშირში სრული ინტეგრაციაა, გუშინ კიდევ ერთხელ დაფიქსირდა.

გაგრძელება A3 გვერდზე

მერის ნაცვლად - ადმინისტრაციის უფროსი

საპარლამენტო უმრავლესობა უახლოეს პლენარულ სხდომაზე (მეორე მოსმენით) ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტს გარკვეული სახეცვლილებით გაიტანს. თუმცა, ეს ცვლილება იმდენად მცირეა, რომ ოპოზიციას კანონპროექტის მხარდაჭერის სურვილს ვერც ამჯერად გაუჩენს.

ნანა ქადაგიშვილი

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტის უკანასკნელი ვარიანტის მიხედვით, თვითმმართველი ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელს ადმინისტრაციის უფროსი ეწოდება. ანუ ამიერიდან ქალაქებს, მერების ნაცვლად, ადმინისტრაციის უფროსები ეყოლება. ამის გარდა, კანონპროექტის ბოლო ვარიანტში მერისა და საკრებულოს ხელმძღვანელების კომპეტენციებიც გამიჯნულია. პირველადი ვარიანტის მიხედვით, ქალაქის საკრებულოს მიერ არჩეული მერი საკრებულოს თავმჯდომარის ფუნქციასაც ითავსებდა. ბოლო ვარიანტით კი, ქალაქის წარმომადგენლობით ორგანოს ცალკე ხელმძღვანელი ჰყავს, აღმასრულებელს – ცალკე.

შეცვლილია თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის კონტროლის მექანიზმიც. პირველადი ვარიანტით, კონტროლის პალატა აკონტროლებდა თვითმმართველობის ორგანოს ბიუჯეტის შესრულებასაც და ცენტრალური ბიუჯეტიდან გადარიცხული ტრანსფერის ხარჯვასაც. კანონპროექტის უკანასკნელი ვარიანტის თანახმად, კონტროლის პალატის მოვალეობაში მხოლოდ ტრანსფერების ხარჯვის კონტროლი რჩება. ადგილობრივი ბიუჯეტების შესრულების ზედამხედველობა კი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს კომპეტენციაში შედის.

გაგრძელება A2 გვერდზე

საარჩევნო თამაშის წესები იცვლება

პარლამენტში დაიწყო საარჩევნო კოდექსში მეორე მოსმენით შესატანი იმ ცვლილებების განხილვა, რომლებიც საკრებულოების დაკომპლექტებისა და პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატების არჩევის წესს შეეხება. კანონპროექტის ინიციატორმა პალიკო კუბლაშვილმა პირველი მოსმენის დროს ოპოზიციონერი პარლამენტარების მიერ გამოთქმული ზოგიერთი შენიშვნა გაითვალისწინა, მაგრამ ხელისუფლების ოპონენტები მაინც უკმაყოფილონი არიან.

გიორგი ასანიშვილი

"მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელი მამუკა კაციტაძე სინანულის გამოთქვამს იმის გამო, რომ ძალაში რჩება საარჩევნო კოდექსის ის მუხლი, რომელიც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევისას საცხოვრებელი ცენზის არსებობას გულისხმობს - საკრებულოს წევრად შეიძლება არჩეული იქნეს საქართველოს მხოლოდ ის მოქალაქე, რომელსაც საქართველოში 5 წელი მაინც უცხოვრია. თავის დროზე, ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" თავმჯდომარის მოადგილემ დავით ბერძენიშვილმა გამოთქვა ვარაუდი, რომ საცხოვრებელი ცენზის შენარჩუნება მაშინ, როდესაც ნებადართულია ორმაგი მოქალაქეობა, სრულიად გაუმართლებელია და მიმართულია იმისკენ, რომ სალომე ზურაბიშვილმა თბილისის საკრებულოში კენჭი ვერ იყაროს. ოპოზიციონერი დეპუტატების გაოცებას იწვევს ის გარემოება, რომ შეზღუდვა მხოლოდ საკრებულოს წევრებს შეეხება და პარლამენტის დეპუტატებზე არ ვრცელდება.

კანონპროექტის ავტორი პალიკო კუბლაშვილი ოპოზიციის პრეტენზიებს არ იზიარებს და მიაჩნია, რომ საკრებულოს წევრთა არჩევის დროს საცხოვრებელი ცენზი აუცილებლად უნდა არსებობდეს და ცუდი არ იქნება, თუ ასეთივე შეზღუდვა ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წევრებისთვისაც დაწესდება.

უმრავლესობისა და ოპოზიციის წარმომადგენლებს შორის უთანხმოებაა, აგრეთვე, საარჩევნო ბარიერის საკითხზე. მამუკა კაციტაძის აზრით, პავლე კუბლაშვილის საკანონმდებლო ინიციატივა მხოლოდ თეორიულად და ფორმალურად გულისხმობს ხუთპროცენტიანი ზღვარის დაწესებას, რეალურად კი 10-პროცენტიან ბარიერთან გვაქვს საქმე.

გაგრძელება A2 გვერდზე

ძმები აფრასიძეების ადვოკატები მართლმსაჯულებას "არაადამიანურ" მოპყრობაში ადანაშაულებენ

ძმები გოჩა და შმაგი აფრასიძეების ადვოკატები ქუთაისის საოლქო სასამართლოს დაკავებულების მიმართ "არაადამიანურ" მოპყრობაში ადანაშაულებენ და საქმის განმხილველი მოსამართლეთა კოლეგიის აცილებას ითხოვენ. ასეთი მკვეთრი განცხადების გაკეთების უმთავრესი მიზეზი, სხვა უკანონობებთან ერთად, გოჩა აფრასიძის ჯანმრთელობის გაუარესებაა.

აფრასიძეების ადვოკატებმა მალხაზ ჯანგირაშვილმა და ირმა ჭკადუამ აღნიშნულ თემაზე უკვე მეორედ ჩაატარეს პრესკონფერენცია, თუმცა, ამჯერად ისინი დღევანდელი მართლმსაჯულების მიმართ უფრო რადიკალურები იყვნენ. როგორც სამართლებრივი დახმარების და განვითარების ცენტრ "იმედში" შეკრებილ ჟურნალისტებს აფრასიძეების დამცველებმა განუცხადეს, დაპატიმრებულის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობის ნორმათა თანახმად, პასუხისმგებელი სასამართლოა. თუმცა, მათივე თქმით, ამ პასუხისმგებლობას ვერ აცნობიერებს ქუთისის საოლქო სასამართლის კოლეგია, რომელიც აშკარად არღვევს ადამიანის უფლებებს და აქედან გამომდინარე, კანონს.

გაზეთი "24 საათი" უკვე წერდა ძმები აფრასიძეების მიმართ ჯერ გამოძიების, შემდეგ კი სასამართლოს მხრიდან დაშვებულ კანონდარღვევებზე. ბოლოს კი გოჩა აფრასიძის გვარმა საჯაროდ სწორედ მისი ჯანმრთელობის გაუარესების გამო გაიჟღერა. განსასჯელ გოჩა აფრასიძეს, იმისთვის რომ არ დაბრმავდეს, თვალის სასწრაფო ოპერაცია ესაჭიროება, მაგრამ სასამართლოდან საჭირო დოკუმენტის მიღება თვეების მანძილზე შეუძლებელი გახდა.

გაგრძელება A4 გვერდზე

12 რეკომენდაცია საქართველოს ენერგოსისტემას

"ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" მთავრობას ენერგეტიკის დარგის კომერციალიზაციისკენ მოუწოდებს. ეს ცენტრის ერთ-ერთი რეკომენდაციაა, რომელიც აღნიშნულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ პროექტის "ენერგეტიკა - კორუფციის გარეშე" დასრულების შემდეგ საქართველოს ენერგოსექტორისთვის მოამზადა. ამ დოკუმენტის შემუშავებაში ჩართული 12 ექსპერტის აზრით, ამ რეკომენდაციების შესრულება აუცილებელი წინაპირობაა იმისთვის, რომ სექტორმა შემდგომი განვითარება ჯანსაღ და კორუფციისგან დაცულ გარემოში განაგრძოს.

დიანა ჩაჩუა

"ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ექსპერტების მიერ დარგის შემდგომი განვითარების და კორუფციისგან დაცვის მიზნით შემუშავებული რეკომენდაციები, ძირითადად, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მისამართით არის გამოთქმული.

არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ ენერგეტიკის სამინისტროსთვის დადებული პირველი რჩევა ასე ჟღერს: სამინისტრომ მკაფიოდ უნდა გამოხატოს დარგის განვითარების სტრატეგია და არჩევანი დარგის კომერციალიზაციის სასარგებლოდ გააკეთოს. ამ რეკომენდაციის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, ცენტრის ექსპერტების აზრით, ენერგოსექტორში მკაფიო სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბების შეფერხების საფრთხე ჩნდება.

ცენტრის მომდევნო რეკომენდაციები ენერგეტიკის სამინისტროსა და სემეკ-ის მისამართითაა შემუშავებული. ექსპერტები ამ ორ უწყებას ენერგეტიკის სექტორისთვის საჭირო ნორმატიული ბაზის სისტემატიზაციას, აღნიშნული ნორმატივების გამარტივებას და ასევე, საერთაშორისო სტანდარტებისა და ადგილობრივი რეალობის გათვალისწინებით, ენერგეტიკული სექტორისთვის საჭირო ტექნიკური ნორმატიული ბაზის შემუშავებას ურჩევენ.

"ენერგოკომპანიებისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სერიოზული თანხები იხარჯება. აღნიშნულმა თანხებმა ასახვა უნდა ჰპოვოს ენერგოკომპანიების ტარიფებში, რათა საბოლოოდ ეს ყველაფერი ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფში აისახოს და იგი შემცირდეს. საბიუჯეტო სახსრები ელექტროენერგიის შესყიდვისთვის არ უნდა იხარჯებოდეს. ეს დარგის კომერციალიზაციას უშლის ხელს," - განაცხადა გუშინ ცენტრის დირექტორმა მაია ურუშაძემ, რომელმაც იქვე დასძინა, რომ ტარიფის შემცირებასთან დაკავშირებული ყოველი მცდელობა იბლოკება. სამინისტრო კი აცხადებს, რომ სამომავლოდ ელექტროენერგიის შესასყიდად საბიუჯეტო სახსრების ხარჯვას არ დაუშვებს.

საინტერესოა "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისთვის" დადებული ერთ-ერთი რეკომენდაცია, რომელიც აღრიცხვიანობის მიმართ სამართალდამცველთა ყურადღების მიპყრობას გულისხმობს. როგორც მაია ურუშაძემ აღნიშნა, გასულ წელს ცენტრმა "სახელმწიფო ელექტროსისტემასა" და სადისტრიბუციო ენერგოკომპანიებს შორის გადადინების წერტილებიდან აორთქლებული დიდძალი თანხები გამოავლინა. მაშინ, მაია ურუშაძის განცხადებით, "სახელმწიფო ელექტროსისტემა" დაინტერესდა ამ მასალებით, თუმცა ძიება არ ჩატარებულა და "კორუფციული სქემა ისევ ღიაა."

რეკომენდაცია სემეკისა და "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიისთვის": აბონენტთათვის ელექტროენერგიის საფასურის მხოლოდ ინდივიდუალური მრიცხველების საშუალებით დარიცხვა და კომუნალური მრიცხველებისთვის შიდა საკონტროლო ფუნქციის დატოვება. როგორც ცენტრის დირექტორმა აღნიშნა, კომპანიის მენჯერები ამ რეკომენდაციას არ იზიარებენ და აცხადებენ, რომ ღარიბი მოსახლეობის დასაცავად მთავრობამ კომპანიის საქმიანობისგან დამოუკიდებელი ბერკეტები უნდა აამოქმედოს.

"ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ექსპერტები საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს და სემეკ-ს ელექტროსადისტრიბუციო ბაზარზე კონკურენტული გარემოს შექმნის სტიმულირებას და ამ ბაზარზე მცირე ლიცენზიანტების საქმიანობის ხელშეწყობასაც ურჩევენ.

როგორც აღინიშნა, ამჟამად რეკომენდაციები სამართლებრივად იხვეწება, რის შემდეგაც იგი საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს, უშიშროების საბჭოს, დაინტერესებულ პირებს და ორგანიზაციებს გადაეგზავნება.

ცნობისათვის, "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგსა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს "ენერგეტიკა - კორუფციის გარეშე" გაზეთ "24 საათის" პარტნიორობითა და მხარდაჭერით ახორციელებდა. ცენტრის მიერ მომზადებული მასალები ყოველკვირეულად იბეჭდებოდა გაზეთის ფურცლებზე. პროექტის ფარგლებში ჩატარდა საზოგადოებრივი და ექსპერტული აზრის გამოკითხვები და ჟურნალისტური გამოძიებები, რომლის საფუძველზეც მომზადდა სწორედ ზემოთაღნიშნული 12 რეკომენდაცია.

მერის ნაცვლად - ადმინისტრაციის უფროსი

პირველი გვერდიდან

ილარი ლალიაშვილის ფოტოები

უახლოეს პლენარულ სხდომაზე ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტის თანამდევ, თბილისის შესახებ კანონის ცვლილებების კანონპროექტსაც განიხილავენ. თუმცა, ოპოზიციის მხარდაჭერას ვერც ეს კანონპროექტი მოიპოვებს.

აღნიშნული კანონპროექტის მიხედვით, დედაქალაქის ტერიტორიის ნაწილს განსაკუთრებული ტერიტორიის სტატუსი ენიჭება. აღნიშნული სტატუსი, რომლის მინიჭების ერთპიროვნული უფლებაც პრეზიდენტს აქვს, ვრცელდება მხოლოდ იმ ტერიტორიაზე, სადაც ცენტრალური ხელისუფლების ადმინისტრაციული ზედამხედველობის ორგანოა (მთავრობა, სამინისტროები) განთავსებული. განსაკუთრებული სტატუსის ტერიტორიაზე არსებული ქონება ცენტრალური ხელისუფლების საკუთრებას წარმოადგენს და თვითმმართველობის ორგანოს ხელმძღვანელობას აქ მხოლოდ გარე რეკლამის განთავსების, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების შეკეთების, მშენებლობის ნებართვის გაცემისა და გარე რეკლამის რეგულირების უფლება აქვს.

სხვათა შორის, როგორც კანონპროექტშია განმარტებული, თბილისის შესახებ კანონში აღნიშნული ცვლილება დედაქალაქის ისტორიულ-კულტურული ფასეულობების დაცვისა და განვითარების მიზნით შედის. "დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენელი დავით ბერძენიშვილი ვერაფრით მიმხვდარა, ამ ყველაფერთან თბილისის კულტურული ფასეულობების დაცვა-განვითარება რა შუაშია. "მემარჯვენე" მამუკა კაციტაძე კი შიშობს, რომ ერთ მშვენიერ დღეს დედაქალაქის ტერიტორიის 80 პროცენტს შეიძლება განსაკუთრებული სტატუსი მიენიჭოს. ადგილობრივი თვითმმართველობის კანონპროექტის მეორე მოსმენა, პირველთან შედარებით, ალბათ, ნაკლებად დაძაბულ ფონზე ჩაივლის. რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მაღლამთიანი რეგიონების კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე ოპოზიცია უკვე ნაკლებად აქტიურობდა.

თვითმმართველობა „სახალხო ფორუმის" მთავარი აქცენტი

პირველი გვერდიდან

"ჩვენი ამოცანაა, მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, როდესაც ხელისუფლება ვერ წავა საზოგადოების წინააღმდეგ. საქართველო ავტორიტარიზმს არ ეგუება. ჩვენ მივიღეთ ხელისუფალი, რომელიც ქვეყანას ინსტინქტებითა და ვირტუალური დამოკიდებულებით მართავს. ხელისუფლება, რომელიც ენერგიას ბავშვობაში იღებს, არ შეიძლება იყოს წარმატებული. როდესაც ხელისუფლებისთვის საკარუსელო სისტემაა მიბაღები, ის ხელისუფლება განწირულია. ჩვენი ხელისუფლების დიდი მცდელობის მიუხედავად, რომ ხალხს არ მისცენ არჩევანის გაკეთების უფლება, მაინც იმედი მაქვს, რომ ქვეყანაში მოხდება ეროვნებისა და დემოკრატიულობის გაერთმთლიანება. ჩვენ და ისინი – ასე გამოყოფს ხელისუფლება თავის თავს. დავამთავროთ ქვეყანაში ხალხის დაყოფა," – აღნიშნა დავით ბერძენიშვილმა.

თვითმმართველობა ის საკითხია, რომელზეც "სახალხო ფორუმის" წარმომადგენლები მთავარ "ფსონს" დებენ. მათ აზრს გუშინ მიწვეული სტუმრებიც (სხვადასხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები) იზიარებდნენ. ისინი ერთ ორგანიზაციად გაერთიანებას არ გამორიცხავდნენ. რაც შეეხება წევრებს, როგორც რეზო შავიშვილმა განაცხადა, ფორუმში მოხვედრის ერთადერთი კრიტერიუმი **"ამ ქვეყნის სიყვარულია, რომელიც ადამიანს აიძულებს, ჰქონდეს პასუხისმგებლობა დღევანდელობისა და მომავლის წინაშე."**

მეორე გამომსვლელი "ტრადიციონალისტი" გუბაზ სანიკიძე გახლდათ, რომელმაც აღნიშნა, რომ დემოკრატია ერთ ძლიერ სვეტზე, თვითმმართველობაზე დგას. **"ქვეყანაში თუ არ ირჩევენ ადამიანს, იქ დემოკრატიაზე ლაპარაკი ზედმეტია. თუ თვითმმართველობა არ იქნა ქვეყანაში, ვერც ტერიტორიულ მთლიანობას მივაღწევთ. აფხაზს ან ოსს, ან იმ ქართველს, რომელიც საზღვარგარეთ ცხოვრობს, ხომ უნდა ავუხსნათ, დავუსაბუთოთ, თუ რატომ უნდა იცხოვროს საქართველოში? მსოფლიოსთვის გავხდით ელიტარული მათხოვრების ქვეყანა, ქართველებსა და ოსებს, ან აფხაზებს შორის ურთიერთობა აქ უნდა მოგვარდეს და არა მსოფლიოს რომელიმე ქვეყნის ქალაქში,"** – განაცხადა გუბაზ სანიკიძემ.

თავისი აზრის დაფიქსირების საშუალება "ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის" წარმომადგენელს ბაჩუკი ქარდავასაც მიეცა. **"გამარჯვებულის პოზაში მყოფ ხელისუფლებას დაავიწყდა, რომ ქვეყნის სათავეში დემოკრატიული გზა დადგა. "ქვეყანაში ერთ-ერთ ძალიანს, ოქ დემოკრატიაზე ლაპარაკი ზედმეტია. თუ თვითმმართველობა არ იქნა ქვეყანაში, ვერც ტერიტორიულ მთლიანობას მივაღწევთ. აფხაზს ან ოსს, ან იმ ქართველს, რომელიც საზღვარგარეთ ცხოვრობს, ხომ უნდა ავუხსნათ, დავუსაბუთოთ, თუ რატომ უნდა იცხოვროს საქართველოში? მსოფლიოსთვის გავხდით ელიტარული მათხოვრების ქვეყანა, ქართველებსა და ოსებს, ან აფხაზებს შორის ურთიერთობა აქ უნდა მოგვარდეს და არა მსოფლიოს რომელიმე ქვეყნის ქალაქში,"** – განაცხადა გუბაზ სანიკიძემ.

საარჩევნო თამაშის წესები იცვლება

პირველი გვერდიდან

აღნიშნულის საილუსტრაციოდ, კაციტაძე იმ ფაქტს ასახელებს, რომ თუ საარჩევნო ბარიერს ათზე მეტი სუბიექტი გადალახავს, მაშინ 5-პროცენტგადალახული სუბიექტები მანდატის გარეშე რჩებიან.

პალიკო კუბლაშვილი "მემარჯვენეების" ამ პრეტენზიასაც დაუსაბუთებლად მიიჩნევს. **"საარჩევნო ბარიერი უბრალო არითმეტიკამდე არ უნდა დავიყვანოთ. დღემდე არ ყოფილა შემთხვევა, რომ თუნდაც 4-პროცენტიანი ბარიერი შვიდზე მეტ სუბიექტს გადაელახოს. მით უმეტეს, დღევანდელ ვითარებაში გამორიცხულია, რომ 5-პროცენტიანი ზღვარი ათზე მეტმა პარტიამ დაძლიოს,"** - აცხადებს საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების ინიციატორი.

როგორც ცნობილია, მომავალ პარლამენტში, ამჟამინდელი 85-ის ნაცვლად, 50 მაჟორიტარი დეპუტატი იქნება არჩეული. "24 საათი" უკვე წერდა იმ სქემის შესახებ, რომლის მიხედვითაც, 14 მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქში პარლამენტის 50 "საგზური გათამაშდება". გუშინ გამართული საკომიტეტო მოსმენის შემდეგ ამ სქემაში მცირე კორექტივი შევიდა: აფხაზეთს ერთი მანდატი "რამოერთვა" და ის სამეგრელოს რეგიონს გადაეცა, რის შედეგად ასეთი "ბალანსი" ჩამოყალიბდა: აფხაზეთიდან, აჭარიდან და თბილისიდან არჩეული იქნება საქართველოს პარლამენტის ხუთ-ხუთი მაჟორიტარი დეპუტატი, კახეთის, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებიდან - ოთხ-ოთხი, ცხინვალის რეგიონიდან (ჯავის რაიონისა და ლიახვის ხეობის ჩათვლით) – სამი, და ა.შ.

საარჩევნო კოდექსის გარდა, ცვლილებები შედის, აგრეთვე, "თბილისის შესახებ" კანონში, რომლებიც დედაქალაქის საკრებულოსა და მერის კომპეტენციების დაზუსტებას გულისხმობს.

საპარლამენტო ოპოზიცია აქციას გეგმავს

საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ კანონპროექტის მიხედვით, 65 წელს მიღწეულ ადამიანს პენსია დაენიშნება მისი ბოლო ხელფასის ერთი მესამედის ოდენობით. თუმცა, პენსიონერთა რამდენიმე პრივილეგირებული კატეგორიისთვის პენსიების გაანგარიშება სხვა პრინციპით მოხდება.

ნათია მსხილაძე

ესენი არიან - პარლამენტის, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები, უზენაესი სასამართლოს და საერთო სასამართლოს მოსამართლეები, სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების, ფინანსური პოლიციისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილი პირები, აგრეთვე, პროკურატურის სისტემიდან დათხოვნილი პირები და მეცნიერები. აღნიშნული კატეგორიისთვის სახელმწიფო პენსიის ზედა ღვარი 560 ლარის ოდენობით განისაზღვრება. აქედან გამომდინარე, კანონპროექტის დამტკიცების შემთხვევაში პარლამენტართა პენსიები 700-დან 560 ლარამდე შემცირდება.

რაც შეეხება ნაკლებად პრივილეგირებულ პენსიონერებს, პირველი ჯგუფის 28 ათას პენსიონერს პენსია 7 ლარით გაეზრდება.

დიფერენცირებული წესით პენსიები გაიცემა, აგრეთვე, თავდაცვის სამინისტროს 17 ათას პენსიონერზე. საშუალოდ, მათი პენსია 106 ლარით განისაზღვრება (დღემდე მათი პენსია საშუალოდ 221 ლარს შეადგენდა).

70 წელს გადაცილებული, ომის მონაწილეების პენსიები 25 ლარით გაიზრდება. თუმცა, მათ ელექტროენერგიის და სხვა შეღავათები გაუუქმდებათ. **"პენსიების მომატებით საქართველოს ხელისუფლება იმ შეღავათების გაუქმების კომპენსირებას ახდენს, რომლებიც კანონში მოქმედებდა,"** - აცხადებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე ვახტანგ მეგრელიშვილი.

ომის მონაწილეებს, მათთან გათანაბრებულ პირებს და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის ბრძოლებში მონაწილეებს პენსია 20 ლარით გაეზრდებათ.

აღნიშნულ კანონპროექტს "დემოკრატიული ფრონტი" ეწინააღმდეგება. საპარლამენტო ოპოზიცია პენსიების გაცემის აღნიშნულ პრინციპს არ ეთანხმება. როგორც კახა კუკავა აცხადებს, პენსიები სტაჟის მიხედვით უნდა გაიცეს. აღნიშნულის გარდა, "დემოკრატიული ფრონტის" წევრები იმასაც აპროტესტებენ, რომ ძალოვან სტრუქტურებს პენსიები უმცირდება. დღეს "დემოკრატიული ფრონტი" პარლამენტის წინ საპროტესტო აქციას გამართავს. **"ჩვენი ფრაქციის აქცია ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერებისთვის პენსიების შემცირებას ეხება. თბილისში გამოვაკარით მოწოდებები, რათა ყველა პენსიონერი საკანონმდებლო ორგანოს წინ მოვიდეს,"** - აცხადებს კუკავა.

პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციუზრუნველყოფის კომიტეტის თავმჯდომარე გიგი წერეთელი კი კატეგორიულად უარყოფს, რომ ძალოვანი სტრუქტურების პენსიონერებს პენსია შეუმცირდებათ. მისი თქმით, გარკვეული ძალები ზემოხსენებულ თემაზე საზოგადოებას არასწორ ინფორმაციას აწვდიან. **"პენსიები იზრდება ყველა პარამეტრით. უბრალოდ, ადრე, როდესაც ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომლებს ხელფასები 50-60 ლარი ჰქონდათ, ხელისუფლება კომპენსირებას შედარებით მაღალი პენსიებით ახდენდა. მაგალითად, ერთ-ერთი ძალოვანი სტრუქტურის თანამშრომელს პენსია 5 ათას ლარზე მეტი აქვს. პენსია უნდა იყოს ხელფასის 70 ან 75 პროცენტი. ასეა მიღებული ყველა დასავლურ ქვეყანაში და ჩვენთანაც ასე იქნება,"** - აცხადებს წერეთელი.

ოპოზიციური ფრაქციები ფინანსთა სამინისტროს აკრიტიკებენ

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გადაჭარბებით შესრულებამ ხარჯების დაფინანსებაში პრობლემები წარმოშვა. აღნიშნული საკითხი გუშინ, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე ოპოზიციასა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებს შორის დაპირისპირების მიზეზი გახდა.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 9 თვის ანგარიშით ირკვევა, რომ ფინანსთა სამინისტრო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული ხარჯების დაფინანსებას ზუსტად არ ახორციელებს.

"წლის ბოლომდე ფინანსთა სამინისტროს 455 მილიონი ლარი აქვს დასახარჯი. ეს თანხა რომ მთლიანად ბაზარზე გავიდეს, წარმოგიდგენიათ, რა მოუვა ქვეყნის ეკონომიკას? ეს ინფლაციურ პროცესებს გამოიწვევს," - განაცხადა გუშინდელ სხდომაზე "მემარჯვენე ოპოზიციის" წარმომადგენელმა ზურაბ ტყემალაძემ. ამ უკანასკნელმა ფინანსთა მინისტრის მოადგილე გრიგოლ გობეჯიშვილი უპასუხისმგებლობაში დაადანაშაულა.

"2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსთა სამინისტრომ მიმდინარე ცხრა თვის განმავლობაში 455 მილიონი ლარის დახარჯვა ვერ მოახერხა. აღნიშნული თანხა ბიუჯეტში მობილიზებულია და იგი დეპოზიტებზეა გაჩერებული. ეს მაშინ, როდესაც ფინანსთა სამინისტროს ძველი დავალიანებების სახით ვალდებულება გააჩნია და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებები გასასტუმრებელი აქვს," - აგრძელებდა ტყემალაძე.

პარლამენტარის ინფორმაციით, ფინანსთა სამინისტროს მიმდინარე წლის 9 თვეში განათლების სამინისტრო - 90 პროცენტით, კულტურის სამინისტრო - 89 პროცენტით, ენერგეტიკის სამინისტრო - 69 პროცენტით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო - 69 პროცენტით, სახალხო დამცველის აპარატი კი - 51 პროცენტით აქვს დაფინანსებული. ამასთან, ფინანსთა სამინისტროს პრობლემები აქვს მოგების გადასახადის მობილიზების კუთხითაც.

ფინანსთა მინისტრის მოადგილის გრიგოლ გობეჯიშვილის განმარტებით, მიმდინარე წლის ბოლომდე, ფინანსთა სამინისტრო აღებული ვალდებულებების დაფინანსებას იმ შემთხვევაში მოახერხებს, თუ სახაზინო სამსახურში შესაბამისი სტრუქტურები ამის თაობაზე მოთხოვნებს წარმოადგენენ.

დეპუტატმა ფინანსთა სამინისტროს ძველი დავალიანებების დფარვაში არსებული პრობლემებიც გაახსენა. ტყემალაძის თქმით, წლის განმავლობაში ამ კუთხით 140 მილიონი უნდა დახარჯულიყო, თუმცა ამ ეტაპზე მხოლოდ 60 მილიონია დახარჯული, 80 მილიონი კი ფინანსთა სამინისტროს ხარჯებში გარღვევაა.

თავად, გრიგოლ გობეჯიშვილი ხარჯებში არსებულ გარღვევას იმით ხსნის, რომ სხვადასხვა მიმართულებით კაპიტალური სამუშაოები მიმდინარეობს და მათი დაფინანსება მხოლოდ აღნიშნული სამუშაოების დასრულების შემდეგ უნდა ანაზღაურდეს. საინტერესოა, რომ, როგორც გობეჯიშვილმა აღიარა, სახელმწიფოს პრობლემები მსოფლიო ბანკიდან ინვესტიციური კრედიტების მიღების კუთხითაც აქვს.

ფრაქცია"დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენელმა ზვიად ძიძიგურმა თავარობის დეპოზიტებზე ეროვნულ ბანკში გაჩერებული თანხები საეჭვოდ მიიჩნია. **"ის, რომ ეს თანხები დეპოზიტებზეა გაჩერებული, ხომ არ ნიშნავს, რომ მას კორუფციის ელფერი დაჰკრავს?"** - ეჭვობდა გუშინ ძიძიგური.

კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი კოვზანაძემ ფინანსთა სამინისტროს 2005 წლის ბიუჯეტის 9 თვის ანგარიშთან დაკავშირებით გარკვეული მონაცემების დაზუსტება მოითხოვა. მისი განცხადებით, ფინანსთა უწყებას სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების კუთხით პრობლემები არ აქვს, თუმცა ხარჯებში არსებული მდგომარეობა შემაშფოთებელია.

მოკლედ

ოპოზიციური ფრაქციები მოქალაქეებს მერიასთან შეკრებისკენ მოუწოდებენ

თბილისის საკრებულოს ოპოზიციური ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" წევრები მიიჩნევენ, რომ დედაქალაქის 2006 წლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავება და საკრებულოსათვის განსახილველად მისი გადაცემა კანონით გათვალისწინებულ ვადებს არ ეწინააღმდეგება.

როგორც საკრებულოში გამართულ ბრიფინგზე "დემოკრატიული ფრონტის" წევრმა პაატა ზაქარეიშვილმა აღნიშნა, კანონის თანახმად, დედაქალაქის ბიუჯეტის პროექტის პირველი ვარიანტი მთავრობას საკრებულოსთვის განსახილველად 15 ივლისიდან უნდა მიეწოდებინა. საკრებულოს მიერ განხილული პროექტის პირველი ვარიანტი კი მთავრობას 1 სექტემბრისთვის უნდა დაბრუნებოდა. ამის შემდეგ, პროექტის საბლოო ვარიანტის განხილვა საკრებულოში 15 ნოემბერიდან უნდა დაწყებულიყო. ამ პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციები და საზოგადოების წევრებიც უნდა ჩართულიყვნენ, რათა ბიუჯეტში საზოგადოების მოთხოვნებიც ასახულიყო. თუმცა, მთავრობამ საკრებულოს ბიუჯეტის პროექტი 28 ნოემბერს წარუდგინა.

საკრებულომ ბიუჯეტის პროექტი ხვალინდელ სხდომაზე უნდა განიხილოს. "დემოკრატიული ფრონტი" მიიჩნევს, რომ 28 ნოემბერიდან 3 დეკემბერამდე ძალიან მცირე დროა პროექტის გასაცნობად და მას საკრებულოს დიდი ნაწილი არც გაცნობია. ამასთან, ბიუჯეტში დეტალურად არ არის გაწერილი საზოგადოების ცალკეული ჯგუფების (მაგალითად, მიწისძვრით დაზარალებულთა, კოოპერატიული ბინათმშენებლობის წევრთა) დახმარების თანხები.

საკრებულოს ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" მოსაზრებას საპარლამენტო ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტიც" იზიარებს. საკრებულოსა და პარლამენტის ოპოზიციური ფრაქციები მოქალაქეებს მოუწოდებენ , 2 დეკემბერს მერიასთან შეიკრიბონ და 2006 წლის ბიუჯეტში თავიანთი ინტერესების გათვალისწინება მოითხოვონ. **მედიანიუსი**

საქართველოში რუსეთის საელჩომ საქართველოს მოქალაქეებზე დროებით ვიზების გაცემა შეაჩერა

საქართველოში რუსეთის საელჩომ საქართველოს მოქალაქეებზე ვიზების გაცემა დროებით შეაჩერა.

როგორც ''ინტერპრესნიუსს" საქართველოში რუსეთის დიპლომატიურ კორპუსში განუცხადეს, საქართველოს მოქალაქეებზე რუსეთის ვიზების გაცემის შეჩერება ტექნიკურ მიზეზებს უკავშირდება და საელჩო იმედოვნებს, რომ ტექნიკური პრობლემების სრულფასოვნად მოგვარება უახლოეს მომავალში გახდება შესაძლებელი.

საელჩოში მიღებული ინფორმაციით, ამ ეტაპზე რუსეთის ვიზების გაცემა მხოლოდ საქართველოს ოფიციალურ პირებზე და იმ მოქალაქეებზე გაიცემა, რომელთა რუსეთში გამგზავრება ჰუმანიტარულ პრობლემებს, მაგალითად, ავადმყოფობას უკავშირდება. **ინტერპრესნიუსი**

გერმანია საქართველოს 33 მილიონ ევროს გამოუყოფს

გუშინ ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა და გერმანიის ელჩმა უვე შრამმა ხელი მოაწერეს გერმანიასა და საქართველოს შორის ფინანსური თანამშრომლობის ორ შეთანხმებას. ამ შეთანხმებით გერმანია კვლავ ხელს შეუწყობს საქართველოს ენერგოსექტორში პროექტების განხორციელებისა და ქალაქ ბათუმში წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაციის საქმეში. შეთანხმების თანახმად, ადრე გამოყოფილი თანხების რეპროგრამირებასთან ერთად, გერმანია საქართველოს რეგიონებში მრიცხველების ინსტალაციას დააფინანსებს, რასაც მთლიანად 25 მილიონი ევრო მოხმარდება, საიდანაც 13 მილიონი რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) კრედიტია, რომელიც საერთაშორისო ბაზრის პირობებით გამოიყო. შემდეგი 10 მილიონი კი მოხმარდება საპორტო ქალაქ ბათუმში წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაციის პირველ ფაზას. მოსალოდნელია, რომ პირველი ფაზის წარმატებით დასრულების შემთხვევაში გერმანია ინტენსიურად ჩაერთვება ამ სექტორში.

მეორე შეთანხმების საფუძველზე გერმანიის მიერ გამოიყოფა ფინანსური დახმარება 2,25 მილიონი ევროს ოდენობით სამხრეთ კავკასიაში ბუნების დაცვის ეკორეგიონული პროექტისათვის. ეს თანხა უნდა მოხმარდეს სამხრეთ კავკასიის რეგიონის ბუნებისა და ბიომრავალფეროვნების შესწავლას და, შესაბამისად, მათი დაცვის ღონისძიებების შემუშავებას. სამხრეთ ჯავახეთსა და ჩრდილოეთ სომხეთში ტრანსსასაზღვრო ბიოსფერული პარკის მოწყობაც ამ თანხიდან დაფინანსდება.

პროექტი გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების სამინისტროს მიერ 2001 წელს წამოწყებული, სამხრეთ კავკასიის ინიციატივის ნაწილს წარმოადგენს. **ჯი-ეიჩ-ენი**

მოსკოვი საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგიის კონცეფციით აღშფოთებულია

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი მიხაილ კამინინი აცხადებს, რომ 2010 წლამდე გაანგარიშებული, საქართველოს "ეროვნული სამხედრო სტრატეგიის" ზოგიერთი მიმართულება მოსკოვის შეშფოთებას იწვევს.

კამინინის თქმით, საქართველოსთვის ერთ-ერთ სამხედრო საფრთხედ ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებული, რუსეთის სამხედრო ბაზები და სამშვიდობო კონტინგენტია დასახელებული, რომლებიც თითქოსდა სეპარატისტულ რეგიონებში არასტაბილურობის პროვოცირებას ეწევიან.

"ეროვნული სამხედრო სტრატეგიის დოკუმენტში წერია, რომ რუსეთის სამხედრო ბაზები და სამშვიდობო ძალები შესაძლოა, ფედერაციის ხელისუფლებაში გარკვეულმა ძალებმა სეპარატისტული რეჟიმების მხარდასაჭერად გამოიყენონ. ასეთი მტკიცების აბსურდულობა სახეზეა. წლების განმავლობაში საქართველოში დისლოცირებული, რუსეთის სამხედრო ბაზები შიდა პოლიტიკური გარჩევების პირობებშიც კი მხოლოდ სტაბილურობის ფაქტორს წარმოადგენდა. საქართველოში რუსი სამხედროები ქვეყნის შიდა საქმეებში არასდროს ერეოდნენ და მკაცრ ნეიტრალიტეტს იცავდნენ. ამის ნათელი მაგალითია შარშან მაისში აჭარაში განვითარებული მოვლენები," - აცხადებს მიხაილ კამინინი.

მისივე თქმით, რუსეთის სამხედრო ბაზები ხელს უწყობს, აგრეთვე, იმ რეგიონის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, სადაც ისინია განლაგებული.

"საქართველოდან გასვლის რეჟიმში მყოფი რუსი სამხედროების კვალდაკვალ ქვების სროლა, სულ ცოტა, არაკორექტულია. რაც შეეხება რუს სამშვიდობო ძალებს, ათ წელზე მეტია, ჩვენი მშვიდობისმყოფელები ამაყად და, ხშირ შემთხვევაში, თავიანთი სიცოცხლის ფასად ასრულებენ დაკისრებულ მანდატს და კონფლიქტის ზონებში სამხედრო მოქმედებების განახლებას თავიდან იცილებენ," - აცხადებს ფედერაციის საგარეო უწყების წარმომადგენელი.

იგი მიიჩნევს, რომ ეროვნული სამხედრო სტრატეგიის დოკუმენტში რუს სამხედროებზე გაკეთებული აქცენტი საქართველოს ხელისუფლებას პოლიტიკური და ეკონომიკური წარუმატებლობის გასამართლებლად სჭირდება.

მიხაილ კამინინმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მოსკოვსა და თბილისს შორის მიღწეული შეთანხმების საფუძველზე, რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანა საქართველოდან 2008 წელს დასრულდება. **მედიანიუსი**

"სამხრეთ ოსეთის" თავდაცვის რუსი მინისტრი ზურაბ ნოღაიდელის განცხადებას უარყოფს

ოსი სეპარატისტების ე.წ. თავდაცვის მინისტრი ანატოლი ბარანკევიჩი პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელის განცხადებას უარყოფს.

ბრიუსელში, ნატო-ს შტაბ-ბინაში ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, რომ რუსეთი სეპარატისტულ ''სამხრეთ ოსეთს" მძიმე სამხედრო ტექნიკით ამარაგებს.

"დღეისათვის იარაღი საკმარისად გვაქვს. ასე რომ, რუსეთიდან იარაღის შემოტანა ჩვენთვის ნომერ პირველი ამოცანა არ არის," - აცხადებს ბარანკევიჩი.

მისივე თქმით, "სამხრეთ ოსეთში" უკანონო შეიარაღებული ფორმირებები არ არის და ყველა სამხედრო ქვედანაყოფი თვითგამოცხადებული რესპუბლიკის თავდაცვისა და განსაკუთრებული სიტუაციათა სამინისტროს ექვემდებარება.

"რესპუბლიკის თავდაცვის ხარჯები მეტად მაღალია, მაგრამ საქართველოს სამხედრო ბიუჯეტთან შედარებით ჩვენი ბიუჯეტი გაცილებით მცირეა. სამხრეთ ოსეთმა თავისი შეიარაღებული ძალები ორმოცდაათი პროცენტით შეამცირა და ამით მსოფლიო საზოგადოებრიობას ვუჩვენეთ, რომ კონფლიქტის მოგვარების სამხედრო გზა ჩვენთვის მიუღებელია," - აცხადებს ანატოლი ბარანკევიჩი. **მედიანიუსი**

ოპოზიციური ფრაქციები ფინანსთა სამინისტროს აკრიტიკებენ

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გადაჭარბებით შესრულებამ ხარჯების დაფინანსებაში პრობლემები წარმოშვა. აღნიშნული საკითხი გუშინ, პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე ოპოზიციასა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენლებს შორის დაპირისპირების მიზეზი გახდა.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 9 თვის ანგარიშით ირკვევა, რომ ფინანსთა სამინისტრო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული ხარჯების დაფინანსებას ზუსტად არ ახორციელებს.

**"წლის ბოლომდე ფინანს

წინ, ევროპისაკენ

პირველი გვერდიდან

ყველაზე წარმატებული სამიტი აქამდე ჩატარებულებს შორის - ასე შეაფასა უკრაინის იუშჩენკომ გუშინდელი დღე.

თუმცა, იმ განსხვავებით, რომ ამ მისწრაფებას თავად ევროკავშირიც "გაგებით" მოეკიდა – ეს ფრაზა "უკრაინა-ევროკავშირის" მეცხრე სამიტის დასკვნით ერთობლივ განცხადებაშიც ჩაიწერა.

ვიქტორ იუშჩენკო გუშინ მთელი დღის განმავლობაში სხვადასხვა არგუმენტების მოშველიებით უმტკიცებდა კიევში სტუმრად ჩასულ ევროპელებს, რომ უკრაინა ევროპის ნაწილია; რომ ყველაფერს იღონებს, რათა დაარწმუნოს ევროპა, რომ უკრაინის ევროკავშირში გაწევრიანება დამატებით სიძნელეებს კი არ შექმნის, არამედ პირიქით, უაღრესად სასარგებლო იქნება თავად გაერთიანებისთვის და ა.შ.

როგორც ჩანდა, არც ევროპელებს აღიზიანებდათ "ნარინჯისფერთა" ამბიციები. მით უმეტეს, რომ ტონი ბლერის თქმით, **"უკრაინელმა ხალხმა აღაფრთოვანა მსოფლიო თანამეგობრობა. ყველა აღტაცებისა და სოლიდარობის გრძნობით ადევნებს თვალყურს უკრაინაში მიმდინარე მოვლენებს".**

მეცხრე სამიტზე კიევში ჩასულ ევროკავშირის დელეგაციას დიდი ბრიტანეთის (ევროკავშირის მოქმედი თავმჯდომარე) პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი ხელმძღვანელობდა. გარდა ამისა, ბრიუსელის მხრიდან სამიტში მონაწილეობდნენ ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელი ხავიერ სოლანა, ევროკომისიის პრეზიდენტი ჟოზე მანუელ ბაროზუ, ევროპარლამენტის თავმჯდომარე და ევროკომისრები. სამიტზე ევროინტეგრაციისკენ უკრაინის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯებს განიხილავდნენ.

"ძალიან დიდი განსხვავებაა ერთი წლის წინანადელ უკრაინასა და დღევანდელს შორის," - ამბობდა გუშინ ტონი ბლერი. ვერც ევროკომისიის პრეზიდენტი "ფარავდა აღტაცებას" და ხმამაღლა ადასტურებდა, რომ "უკრაინის მომავალი ევროპასთანაა".

ყველაზე წარმატებული სამიტი აქამდე ჩატარებულებს შორის – ასე შეაფასა უკრაინის პრეზიდენტმა ვიქტორ იუშჩენკომ გუშინდელი დღე. მართლაც, ევროკავშირმა გუშინ უკრაინას საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნის სტატუსი მიანიჭა, რაც იუშჩენკოს თქმით, მხარეებს შორის ურთიერთობების ცვლილების ლოგიკურ ჯაჭვს გამოიწვევს. მოკლედ, ეკონომიკური თანამშრომლობის ხარისხი სტატუსის ოფიციალურად გაფორმების შემდეგ გაცილებით მაღალ დონეზე აიწევს.

გარდა ამისა, ხელი მოეწერა მემორანდუმს ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის შესახებ. ასევე ხელმოწერილია შეთანხმებები ევროკავშირსა და უკრაინას შორის სამოქალაქო გლობალური ნავიგაციის და საჰაერო მიმოსვლის დარგში თანამშრომლობის თაობაზე. ევროკავშირის წარმომადგენლებმა გუშინვე იმედი გამოთქვეს, რომ მომავალ წელს უკრაინა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრიც გახდება.

აშკარაა, უკრაინამ ევროინტეგრაციისკენ ერთი ნაბიჯით წინ წაინია, თუმცა, ამ პროცესს მსოფლიო თანამეგობრობისგან განსხვავებით, უკრაინაში ყველა (ისევე როგორც რუსეთში), რბილად რომ ვთქვათ, სიხარულით არ ხვდება.

უკრაინის ოპოზიცია გუშინ დილიდან მასობრივ საპროტესტო მიტინგებს მართავდა ნატო-ში და ევროკავშირში უკრაინის ინტეგრაციის წინააღმდეგ. უკრაინის პროგრესული სოციალისტური პარტიის მიერ ორგანიზებულ აქციაში დაახლოებით 5 000 ადამიანი მონაწილეობდა. მათ დამოუკიდებლობის მოედანზე 2 500 სანთელი დაანთეს იუგოსლავიაში დაღუპულ მშვიდობიან მოქალაქეთა ხსოვნის პატივსაცემად.

ამავდროულად, უკრაინის ნატო-ში და ევროკავშირში შესვლას პრეზიდენტის სამდივნოს შენობასთან პარტია "ბრატსტვოს" დაახლოებით 300 აქტივისტი აპროტესტებდა.

არაღიარებულ „სახელმწიფოთა" შეხვედრა ჟენევაში

ჟენევაში ხუთშაბათს გაიხსნა საერთაშორისო კონფერენცია "მულტიკულტურიზმი და XXI საუკუნის ეთნოპოლიტიკური მოდელები". რუსული არასამთავრობო ფონდის "თავისუფალი ევროპა"-ს მიერ ორგანიზებულ ღონისძიებაში მონაწილეობას იღებენ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებული არაღიარებული რესპუბლიკებისა და ხალხების - აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, მთიანი ყარაბაღის, დნესტრისპირეთის იმიერკარპატეთის რუსინების წარმომადგენლები. მათ გარდა, კონფერენციას ესწრებიან ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაციის წარმომადგენლებიც, ასევე არიან მიწვეული რუსი და დასავლელი ექსპერტები.

"ჩვენი კონფერენციით შევეცდებით, დასავლელი ექსპერტების ყურადღება გავამახვილოთ ამ არაღიარებულ სახელმწიფოებზე," – განაცხადა ფონდი "თავისუფალი ევროპის" საბჭოს თავმჯდომარემ სერგეი სტეპენკოვმა. თუმცა, მისივე თქმით, კონფერენციაზე საუბარი იქნება არა სეპარატიზმზე, არამედ "საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგებზე".

ფორუმის მონაწილეებს განზრახული აქვთ საფუძვლად კოსოვოს მაგალითი აიღონ, რომელიც ფორმალურად სერბეთის ნაწილად რჩება, მაგრამ გაერო-ს კონტროლის ქვეშ იმყოფება.

"მსოფლიო იქით მიდის, რომ ყველა ისტორიული გარემოების მიუხედავად, როგორც ჩანს, კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარებული იქნება," - მიაჩნია კონფერენციის ერთ-ერთ მონაწილეს, რუსეთის სტრატეგიული და პოლიტიკური კვლევების ცენტრის პრეზიდენტს ვიტალი ნაუმკინს. მისი აზრით, კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება შექმნის პრეცედენტს, რომელიც სერიოზულ ზემოქმედებას მოახდენს პოსტსაბჭოთა სივრცის არაღიარებული რესპუბლიკების ბედის გადაწყვეტაზე.

ერთ-ერთი მონაწილე, იმიერკარპატეთის რუსინების წარმომადგენლის დმიტრი სიდორი კი აცხადებს, რომ კონფერენციის მთავარი მიზანია, აიძულოს ევროპა, მეტი ყურადღება მიაქციოს ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მცხოვრებ მცირე ერებს. სიდორის თქმით, უკვე თხუთმეტი წელია, 800 ათასი რუსინი უშედეგოდ მოითხოვს უკრაინისგან აღიარებას. **"უკრაინა უკვე 15 წელია, რუსინთა უფლებების იგნორირებას ახდენს. მართალია, ვერ ბედავს, თქვას, რომ ისინი არ არსებობენ, მაგრამ არც აღიარებს მათ. ამგვარი გაურკვეველი ვითარება, ბუნებრივია, კონფლიქტს წარმოშობს,"** – ამბობს სიდორი.

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტის სახელმწიფო მრჩეველი კონსტანტინ კოჩიევი კი თვლის, რომ ევროპა "ორმაგი სტანდარტებით" მოქმედებს. **"თუ კოსოვოს მიმართ მსოფლიო მზად არის, აღიარებაზე წავიდეს, ჩვენ არ გვესმის, რატომ არა აქვს ასეთივე აღიარების მიღების უფლება ჩვენს სახელმწიფოს, რომელსაც სრული დამოუკიდებლობისთვის გაცილებით მეტი სამართლებრივი საფუძველი აქვს,"** – ამბობს იგი.

"გვინდა, რომ ჩვენი ხალხი გადარჩეს. საქართველოში ვერ ვიცხოვრებთ, იმიტომ, რომ ქართული სახელმწიფოს პოლიტიკა არ იცავს ჩვენს ინტერესებს. მეტიც, ეს სახელმწიფო ჩვენი ხალხის მიმართ მტრულად არის განწყობილი," - დასძინა კოჩიევმა.

რია ნოვოსტი

ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაცია

NATIONAL ASSOCIATION OF LOCAL AUTHORITIES

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის

განცხადება

თბილისი 29 ნოემბერი 2005 წელი

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაცია მიესალმება საქართველოს პარლამენტის მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანული კანონის და საარჩევნო კოდექსში ცვლილებების პირველი მოსმენით მიღებას და გამოთქვამს იმედს, რომ ეს კანონპროექტები შემდგომი საპარლამენტო მოსმენების დროს კიდევ უფრო დაიხვეწება და უპასუხებს როგორც საერთოეროვნულ, ასევე ჭეშმარიტ ადგილობრივ ინტერესებს.

ეს პირველი შემთხვევაა საქართველოში, როდესაც საკანომდებლო ცვლილებები ადგილობრივ არჩევნებდე თითქმის ერთი წლით ადრე მიმდინარეობს, რაც პოლიტიკურ ძალებს და მთლიანად საზოგადობას საშუალებას აძლევს კარგად გაერკვეს კანონმდებლობაში და საფუძვლიანად მოემზადოს ადგილობრივი არჩევნებისთვის.

ჩვენ ასევე გვინდა საქართველოს პარლამენტის და ხელისუფლების ყურადღება მივაპყროთ იმ საკითხებზე, რომელთა გადაწყვეტის გარეშე თვითმმართველობის რეფორმა ვერ იქნება წარმატებული:

ფისკალური დეცენტრალიზაცია **- არ არის მიღებული კანონი "ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ". ასევე გადასახედია ადგილობრივი ბიუჯეტების საგადასახადო შემოსავლების საკითხი, რადგან საკუთარი შემოსავლების გარეშე წარმოუდგენელია ქვეყანაში რეალური თვითმმართველობის არსებობა.**

თვითმმართველი ერთეულის ქონების საკითხები **- მიუხედავად იმისა, რომ კანონი "ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ" მიღებულია, ჯერ კიდევ არ გადადგმულა ქმედითი ნაბიჯები მისი ამოქმედებისკენ. გადაჭრას მოითხოვს სასოფლო-სამეურნეო მიწების და ყოფილი საკოლმეურნეო ტყეების საკითხი, დღეს ამ სფეროს რაიონის ხელისუფლება (მმართველობა) არეგულირებს, მაგრამ რაიონული რგოლის ნაცვლად მხვილი მუნიციპალიტეტების ჩამოყალიბების შემდეგ გაურკვეველი რჩება ამ ქონების სტატუსი.**

თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილების საკითხი **-ორგანული კანონის განხილვის დროს შედარებით მცირე დრო დაეთმო ამ საკითხს, მაშინ როცა სწორედ სრული უფლებამოსლებაა თვითმმართველობის საწინდარი. შესაბამისად, ორგანულ კანონში ექსკლუზიურ უფლებამოსილების უბრალო ჩამოთვლა ვერ იქნება ეფექტური, აუცილებელია თითეული მათგანის ცხადად განსაზღვრა და დაკონკრეტება, რაც თავიდან აგვაცილებს კანონის ორმაგი წაკითხვის შესაძლებლობას და დაიცავს თვითმმართველობას.**

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მსხვილი მუნიციპალიტეტების არსებობისას, სადაც მთელი აქცენტი ეფექტურობასა და მომსახურების მიწოდებაზე გადადის, ზემოჩამოთვლილი საკითხების გადაუჭრელობა დაუშვებელია. მსხვილი მუნიციპალიტეტები შესაბამისი ქონებისა და რესურსების გარეშე ვერ უზრუნველყოფენ ეფექტური მომსახურების გაწევას, რაც შეიძლება მოსახლეობის მიერ ნეგატიურად იქნეს შეფასებული.

ჩვენ გვჯერა, რომ ზემოჩამოთვლილი საკითხები უახლოეს მოვალში წარმატებით გადაიჭრება და გამოვთქვამთ სრულ მზადყოფნას თანამშრომლობისთვის.

ორი სიტყვით

ერაყი. წინასაარჩევნო პერიოდში, უსაფრთხოების დონის ამაღლების მიზნით, ხუთშაბათს ერაყმა თავის ტერიტორიაზე ყველა არაერაყელ არაბს აუკრძალა შესვლა. თუ რამდენ ხანს გასტანს ეს შეზღუდვა, ჯერჯერობით უცნობია. "ეს არჩევნების უსაფრთხოების უზრუნველყოფის პროცედურის ნაწილს წარმოადგენს და შეზღუდვა გავრცელდება ყველა არაბზე, რომელიც ერაყში არ ცხოვრობს," – აცხადებს ერაყის ხელისუფლება. შეგახსენებთ, ერაყის საპარლამენტო არჩევნები ორ კვირაში გაიმართება. **როიტერსი**

■ ■ ■

რუსეთი. პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში შეიტანა კანონპროექტი, რომელიც ფედერაციის მოქალაქეობის შესახებ კანონის მე-14 მუხლში ცვლილებების შეტანას ეხება.

კანონპროექტის მიხედვით, ყოფილი საბჭოთა კავშირის მოქალაქეებისთვის, რომლებიც რუსეთის ტერიტორიაზე დიდი ხნით კანონიერად ცხოვრობდნენ, ფედერაციის მოქალაქეობის მიღების პროცედურა გამარტივდება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

ირანი. ისლამური რესპუბლიკის პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ გაიმეორა, რომ ირანი არ აპირებს ბირთვულ პროგრამაზე უარის თქმას. ირანის სახელმწიფო ტელევიზიის ცნობით, მოჰამედ აჰმადინეჯადმა განაცხადა, რომ ირანი "არასდროს იტყვის უარს მშვიდობიანი ბირთვული ენერგიით სარგებლობის უფლებაზე". ამავე წყაროს ცნობით, აჰმადინეჯადი ამ საკითხს შეეხო ილამის პროვინციაში, ათასობით თანამოქალაქე ირანელის წინაშე გამოსვლისას. ირანზე უცხოეთიდან ინტენსიურ ზეწოლას ახორციელებენ ბირთვული პროგრამის შეჩერების მოთხოვნით. დასავლეთში შიშობენ, რომ ირანი ბირთვული იარაღის შექმნას ცდილობს. **რადიო თავისუფლება**

■ ■ ■

აზერბაიჯანი. სააგენტო "ტრენდის" ცნობით, აშშ-ს ელჩმა აზერბაიჯანში რინო ჰარნიშმა ვაშინგტონში აშშ-ს სავაჭრო სამსახურში ბრიფინგზე განაცხადა, რომ აზერბაიჯანს ფართო ბიზნესშესაძლებლობები გააჩნია და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის ექსპლუატაციის დაწყებით ისინი კიდევ გაიზრდება.

დიპლომატმა ამერიკელი ბიზნესმენები აზერბაიჯანში მიიწვია და აღნიშნა, რომ ამ ქვეყანაში, ნავთობის სექტორის გარდა, მიმზიდველია სოფლის მეურნეობის, ტელეკომუნიკაციების, საბანკო და ჯანდაცვის სფეროები.

მისი თქმით, მომავალ წელს აზერბაიჯანის მთლიანი შიდა პროდუქტი "აქამდე არნახულ" მაჩვენებელს მიაღწევს და რესპუბლიკა თანდათან გადავა მცირე შემოსავლების დონის ქვეყნიდან საშუალოზე.

ჰარნიშის თქმით, ეს ყველაფერი არის იმის დემონსტრაცია, რომ აზერბაიჯანი დაჩქარებულად ვითარდება და აშშ-ს ეკონომიკური ინტერესებისთვის მიმზიდველ ბაზრად გარდაიქმნება.

ამერიკელი დიპლომატი, ამასთან, აზერბაიჯანში კანონის უზენაესობის უზრუნველყოფასთან, საზოგადოებრივ და კერძო სექტორებთან, საბაჟო და საგადასახადო სფეროებთან დაკავშირებულ პრობლემებს შეეხო და აღნიშნა, რომ აზერბაიჯანის ეკონომიკის სამინისტროსა და აშშ-ს საელჩოსთვის მიმართვის შემთხვევაში, პრობლემები მოგვარდება. **პრაიმნიუსი**

ნაუტილუსი

- მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
  უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

"ნაუტილუსი" აცხადებს მნიშვნელოვან საახალწლო **ფასდაკლებას (25% - 50%)** "წონაში კლების და გაჯანსაღების" ახალ პროგრამაზე და ფიტნეს კლუბ "ნაუტილუსში".

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge
Web-site: www.nautilus.ge

მოკლედ

იუსტიციის სამინისტროში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი დაფუძნდა

იუსტიციის სამინისტროში სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი დაფუძნდა.

იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის განცხადებით, პრეზიდენტ მიხელ სააკაშვილის ბრძანებულების საფუძველზე, სასწავლო ცენტრი იუსტიციის სამინისტროს სისტემაში საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით დაფუძნდა.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი საქართველოში პირველია, სადაც სასჯელაღსრულების სისტემისა და პრობაციის სამსახურის თანამშრომელთა პროფესიული დონის ამაღლება იქნება შესაძლებელი. იუსტიციის სამინისტროში ამჟამად სასწავლო ცენტრის დებულება მუშავდება.

ცენტრის ჩამოყალიბება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის რეფორმის ფარგლებში მოხდა. სამინისტროს ცნობით, თანამედროვე ტიპის პენიტენციარული სტრუქტურის შექმნის პროცესში, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სისტემაში დასაქმებული კადრების მაღალ კვალიფიკაციას. **24 საათი**

ავტომანქანის გამტაცებელი დაკავებისას დაიჭრა

საპატრულო პოლიციის თანამშრომლები მცხეთის რაიონის სოფელ წეროვანთან თბილისიდან ყაჩაღური გზით გატაცებულ, გორის მიმართულებით მოძრავ ავტომანქანა "ოპელ-ვექტრას" დაედევნენ და ცეცხლს გაუხსნეს, რის შედეგადაც ყაჩაღობაში ეჭვმიტანილი, 23 წლის კოტე გუნია დაიჭრა.

შს სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, გუნია ავტომანქანის საჭესთან იჯდა. მასთან ერთად იმყოფებოდნენ 19 წლის ლაშა ვიბლიანი და 20 წლის ინდიკო ავალიანი, რომლებიც ასევე ეჭვმიტანილნი არიან ყაჩაღობაში. დაკავებულებისაგან ამოღებულია "ვალტერის" სისტემის პისტოლეტი ერთი ვაზნით და "გოლდ-სტარი-2002" 3 ვაზნით.

შს სამინისტროს მტკიცებით, "ოპელ-ვექტრას" პოლიცია მას შემდეგ დაედევნა, რაც მძღოლი არ დაემორჩილა გაჩერების შესახებ მოთხოვნას და თავისი ქმედებით რეალური საფრთხე შეუქმნა როგორც საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს, ისე ტრასაზე მოძრავ სხვა ავტომანქანების მძღოლებსა და მგზავრებს.

დადგინდა, რომ გატაცებული ავტომანქანა ოზურგეთელ ამირან არაშიძეს მუხათგვერდის სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორიიდან ყაჩაღური თავდასხმის შედეგად წაართვეს. **ჯი-ეიჩ-ენი**

შეიარაღებულმა პირებმა ნივთმტკიცების წართმევა სცადეს

ფინანსური პოლიციის სამეგრელოს სამმართველომ უაქციზო სიგარეტის გადაზიდვის ფაქტზე დევნე ყოლბაია დააკავა. ფინანსურ პოლიციას ოპერატიული ინფორმაცია ჰქონდა, რომ ზუგდიდის მიმდებარე ტერიტორიაზე, ე.წ კომბინატის დასახლებასთან აფხაზეთიდან დიდი ოდენობით უაქციზო სიგარეტის გადმოტანა მოხდებოდა. ინფორმაცია გამართლდა და გუშინ, გამთენიისას, ფინანსურმა პოლიციამ ყოლბაია დანაშაულის ფაქტზე დაიკავა. მან გაქცევა სცადა, მაგრამ ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა გამაფრთხილებელი გასროლა განახორციელეს, რის შემდეგაც ეჭვმიტანილის დაკავება მოხდა. თუმცა, განსაკუთრებით დიდი ოდენობის უაქციზო სიგარეტის დალუქული სახით ოფისში გადმოტანისას, ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს შეიარაღებულ პირთა ჯგუფი დაესხა თავს და ნივთმტკიცების წართმევა სცადა. ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა უაქციზო სიგარეტის ოფისში გადმოტანა მაინც შეძლეს.

ამჟამად ყოლბაია იკითხება, რის შემდეგაც წინასწარი დაკავების საკანში იქნება გადაყვანილი. ფინანსურმა პოლიციამ მას 15 ათასი კოლოფი სხვადასხვა დასახელების უაქციზო სიგარეტი ჩამოართვა.

ამავდროულად, ფინანსური პოლიციის შიდა ქართლის სამმართველომ უაქციზო სიგარეტის გადაზიდვის ფაქტზე წინასწარი გამოძიება დაიწყო. ჯერჯერობით დაუდგენელ პირს 6 ათასი კოლოფი უაქციზო სიგარეტი გადაჰქონდა. ეჭვმიტანილის ვინაობა დგინდება. **ჯი-ეიჩ-ენი**

თამაზ ბაკურიძის ადვოკატი სააპელაციო პალატას საჩივრის განხილვის გაჭიანურებაში ადანაშაულებს

ჟურნალისტ თამაზ ბაკურიძის ადვოკატი აჭარის უმაღლესი სასამართლოს სააპელაციო პალატას საჩივრის განხილვის გაჭიანურებაში ადანაშაულებს. ადვოკატ ნინო კიკალიშვილის განცხადებით, დაცვის მხარემ საჩივარი სასამართლოში ივლისში შეიტანა, საქმის განხილვა სექტემბერში უნდა დაწყებულიყო, თუმცა, უცნობი მიზეზების გამო, პროცესი დღემდე არ დანიშნულა. ჟურნალისტის დაცვის მხარე პალატას პროცესის განზრახ გაჭიანურებაში და, აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დარღვევაში ადანაშაულებს.

დაცვის მხარე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 21 ივნისის გადაწყვეტილებას ასაჩივრებს, რომლის მიხედვითაც თამაზ ბაკურიძეს ექვსი წლით და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. ადვოკატის ინფორმაციით, პირველ ინსტანციაში საქმის განხილვის დროს სასამართლო პროცესზე ბაკურიძის ბრალეულობა არც ერთმა მოწმემ არ ცნო და თავი დაზარალებულად არ მიიჩნია.

ჟურნალისტი თამაზ ბაკურიძე 2005 წლის მაისში სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისა და თანხების არამიზნორივად ხარჯვის ბრალდებებით დააკავეს. **ინტერპრესნიუსი**

ორი სიტყვით

თბილისი. სამართალდამცველებმა მოქალაქის სასტიკად ცემის ფაქტზე თბილისში რვა ადამიანი დააკავეს. შსს-ს განცხადებით, გუშინ, შუადღისას, პოლიციამ ერთდროულად რვა ადამიანი დაუპატიმრა. მათი დაკავების მიზეზი მოქალაქე ნოდარ აბულაშვილის სასტიკი ცემა გახდა. აბულაშვილი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

დაკავებული არიან: გელა, ბესო და დავით იაშაღაშვილები, შოთა ცეცხლაძე, მევლუდ საყევარიშვილი, გიორგი შარაშიძე, ნიკოლოზ აბულაძე და ზურაბ ბოშიშვილი. რვავე ეჭვმიტანილმა დაკავების დროს პოლიციას ფიზიკური წინააღმდეგობა გაუწია. ეჭვმიტანილები წინასწარი დაკავების იზოლატორში არიან გადაყვანილები. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. "სახელისუფლებო სპეციალური კავშირებისა და ინფორმაციის საოგენტოს" საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო განახორციელებს. საქართველოს პრეზიდენტის N952 ბრძანებულებით, შინაგან საქმეთა სამინისტოს უფლება ენიჭება, მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალები და ინფორმაცია, ასევე შეაჩეროს ან გაუქმოს სააგენტოს არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

პრეზიდენტის 2004 წლის 25 ნოემბრის N533 ბრძანებულების საფუძველზე, აქამდე სატელეფონო საუბრების მოსმენას "სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური" ახორციელებდა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. სამართალდამცველებმა ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვის ბრალდებით, ქურდული ტრადიციების მიმდევარი რობერტ კალაშოვი დააკავეს.

როგორც "ინტერპრესნიუსს" შს სამინისტროში განუცხადეს, 30 წლის კალაშოვი წარსულში მრავალჯერ არის ნასამართლევი. დაკავების დროს მას თვითნაკეთი ბარაბნიანი რევოლვერი და 4 საბრძოლო ვაზნა აღმოაჩნდა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვის მუხლით აღიძრა. **ინტერპრესნიუსი**

ძმები აფრასიძეების ადვოკატები მართლმსაჯულებას "არაადამიანურ" მოპყრობაში ადანაშაულებენ

პირველი გვერდიდან

ადვოკატები პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლას მოითხოვენ.

ნინო ბერიკაშვილი

შეგახსენებთ, გოჩა აფრასიძის დაპატიმრებისთანავე ადვოკატები გამოძიების წინაშე შუამდგომლობებს აყენებდნენ და მოითხოვდნენ პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლას და შესაბამისი მკურნალობის ჩატარებას. საქმე ის გახლავთ, რომ გოჩა აფრასიძეს დაზიანებული აქვს თვალის ბადურა და არსებობს მხედველობის სრულად დაკარგვის საშიშროება. სხვათა შორის, თავის დროზე ამ ფაქტს ადასტურებდნენ სასჯელაღსრულების დაწესებულების ექიმები და იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის კომისიის წევრებიც და ოფიციალურ დასკვნაში მიუთითებდნენ, რომ გოჩა აფრასიძეს აუცილებლად ესაჭიროებოდა ოპერაცია.

"აღნიშნული დასკვნის შემდეგ გოჩა აფრასიძე, რომელიც ზუგდიდის საპყრობილეში იმყოფებოდა, თბილისში, "რეზბალნიცაზე"გადმოიყვანეს. ორი კვირის განმავლობაში იგი, ფაქტობრივად, "კარცერში" ჰყავდათ. შემდეგ კიდევ ერთხელ ჩაუტარეს შემოწმება და თქვეს, რომ ოპერაცია საჭირო არ იყო. ამის შემდეგ აფრასიძის მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. ჩვენ შუამდგომლობით მივმართავდით როგორც ქუთაისის საოლქო სასამართლოს, ასევე განცხადებებს ვწერდით სასჯელაღსრულების დეპარტამენტში. მართალია, შოთა კოპაძისგან მივიღეთ წერილი, რომ პრობლემა არ არის ოპერაციის გაკეთება, მაგრამ ამისთვის აუცილებელია იუსტიციის მინისტრის ბრძანება და სასამართლოს გადაწყვეტილებაო," - აღნიშნავდა ჯერ კიდევ ერთი თვის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე ადვოკატი მალხაზ ჯანგირაშვილი. თუმცა, მას შემდეგ პატიმრის სასარგებლოდ არაფერი შეცვლილა. საქმე კი იქამდე მივიდა, რომ განსასჯელ გოჩა აფრასიძის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ქუთაისის საოლქო სასამართლოში გუშინწინ მიმდინარე პროცესი ჩაიშალა. მეტიც, აფრასიძეების ოჯახის წევრები და ადვოკატები აღარ აპირებენ პროცესზე დასწრებას.

"ვიდრე იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი და სასამართლო თანხმობას არ განაცხადებს გოჩა აფრასიძისთვის გადაუდებელი ოპერაციის ჩატარებაზე, პროტესტს ვაცხადებთ სასამართლო განხილვაზე დასწრებაზე," - ამბობენ აფრასიძეების ინტერესების დამცველნი.

ადვოკატების განცხადებით, იმავე მოთხოვნით უკვე ერთი კვირაა, შიმშილობს თავად განანსჯელი გოჩა აფრასიძე, რომელმაც პროტესტის ნიშნად პირი ამოიკერა, მაგრამ პატიმრის პროტესტის უკიდურეს ფორმაზე რეაგირება არავის მოუხდენია.

მეტიც, როგორც მალხაზ ჯანგირაშვილმა განაცხადა, მოსამართლეთა კოლეგიამ ადვოკატების დემარშის შემდეგ განჩინება გამოიტანა, რომლის თანახმად ადვოკატების პროტესტი დაცვის მხარის პროცესზე გამოუცხადებლობად შეფასდა და აფრასიძეებს იძულებითი, სახაზინო დაცვა დაენიშნათ.

"ხელისუფლებას აფრასიძეებისგან მტრის ხატის შექმნა სურს, სასამართლო კი ხელისუფლების ზენოლას ვერ უმკლავდება," - განაცხადა მალხაზ ჯანგირაშვილმა.

როგორც ადვოკატები განმარტავენ, მათი მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში ისინი პროტესტის უმაღლეს ზომას – შიმშილობას მიმართავენ.

გუშინდელ პრესკონფერენციას ძმები აფრასიძეების დედა დოდო სიდიანი-აფრასიძე ესწრებოდა, რომელმაც მართლმსაჯულებასაც და საზოგადოებასაც ერთნაირად სთხოვა შვილის გადარჩენაში დახმარება.

"მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ვალდებულია, დაკავებულების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე იზრუნოს, მზად ვართ, აუცილებლობის შემთხვევაში, მკურნალობის ხარჯები ნაწილობრივ ჩვენ დავფაროთ," - ამბობს პატიმრების დედა.

შეგახსენებთ, გოჩა და შმაგი აფრასიძეები 2004 წლის 24 მარტს სამართალდამცველებმა სოფელ ეცერში სპეცოპერაციის დროს დაიკავეს. მათ ბრალი რამდენიმე ადამიანის განზრახ მკვლელობის მცდელობაში, იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებასა და სახელმწიფო ქონების განზრახ დაზიანებაში ედებათ. ამავე სპეცოპერაციის დროს სამართალდამცველებმა აფრასიძეების ოჯახის ორი წევრის ევგენი და ომეხ აფრასიძეების ლიკვიდაცია განახორციელეს.

24 საათი

გალის რაიონში სიტუაცია კვლავ გამწვავდა

გალის რაიონის სოფელ ნაბაკევში, გუშინწინ, საღამოს, აღმოაჩინეს მამაკაცის ცხედარი, რომელსაც თავში საკონტროლო ტყვია ჰქონდა ნასროლი. მოგვიანებით დადგინდა, რომ მოკლული მამაკაცი ფრიდონ ჯგერენაია იყო.

ფრიდონ ჯგერენაია გალის რაიონში მოქმედ სეპარატისტთა ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ, ის მუშაობდა ე.წ. გალის რაიონის ადმინისტრაციაში და ყველაზე სასტიკი მილიციელის სახელით იყო ცნობილი. ცნობილია ისიც, რომ ჯგერენაია გამოირჩეოდა ქართული მოსახლეობის წინააღმდეგ განხორციელებული სისასტიკით.

ცხედარი დამახინჯებული იყო, მაგრამ მისი ამოცნობა ადგილობრივმა მოსახლეობამ მაინც მოახერხა. ფრიდონ ჯგერენაია სოფელ ოტობაიადან, სადაც ცხოვრობდა, დაახლოებით 20 დღის წინ დაიკარგა და მის მოსაძებნად, როგორც აფხაზ სეპარატისტთა წარმომადგენლები, ისე ქართველი სამართალდამცველები, აქტიურ საგამოძიებო მოქმედებებს ატარებდნენ. აფხაზი სეპარატისტები ჯგერენაია დაკარგვას ქართველ პარტიზანებს აბრალებდნენ, თუმცა, მისი მკვლელობის შესახებ ოფიციალური კომენტარი ჯერჯერობით არც ერთ მხარეს არ გაუკეთებია. ცხედარი გალის რაიონის საავადმყოფოს პროზექტურაშია გადატანილი.

გალის რაიონში კი სიტუაცია კვლავ დაძაბულია. გუშინ გალის რაიონში აფხაზური სპეცდანიშნულების რაზმის მობილიზება მოხდა. ამის მიზეზი ქართულ-აფხაზურ კონფლიქტის ზონაში, სოფელ ფიჩორში მომხდარი სროლები გახდა. გავრცელებული ინფორმაციით, გალის დაბალი ზონის სოფლებში შეტაკება მოხდა მოსახლეობასა და ეროვნებით ქართველ სპეცრაზმელებს შორის, რომლებიც აფხაზურ მილიციაში მუშაობენ. მოსახლეობამ ცეცხლი სპეცრაზმელების ოჯახებს გაუხსნა. დაცხრილულია რამდენიმე სახლი. შეტაკების დროს აფხაზმა სამართალდამცველებმა ორი ქართველი დაჭრეს, სამი პიროვნება კი დააკავეს. დაჭრილები გალის რაიონის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

მოსახლეობა თავდასხმას აღიარებს და აცხადებს, რომ სამართალდამცველები წვევამდელებს აფხაზურ ჯარში იძულებით იწვევენ, წინააღმდეგობის შემთხვევაში კი, მათ ოჯახებზე დაშინების მიზნით ფიზიკურ ზეწოლას ახორციელებენ. როგორც ადგილობრივი მოსახლეობა აცხადებს, აღნიშნული ინციდენტის შემდეგ სოფელ ფიჩორში სიმშვიდე არ დარღვეულა, მაგრამ ისინი მომავალში სიტუაციის დაძაბვას არ გამორიცხავენ. ამ ფაქტთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარი ქართულ მხარეს არ გაუკეთებია. აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლების განცხადებით კი, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება უკვე დაიწყო.

აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ზუგდიდის ზონაში მოქმედ გაერო-ს სამოქალაქო პოლიციას 2 ათასი ევროს ღირებულების ტექნიკურ აღჭურვილობას გადასცემს.

საქართველოში გერმანიის საელჩოს ინფორმაციით, პოლიციის ქართულ ქვედანაყოფს აღჭურვილობას გერმანიის ელჩი უვე შრამი საქართველოში გაერო-ს გენერალური მდივნის სპეცწარმომადგენლის ოფისში პირადად გადასცემს. გერმანიის მთავრობა გაერო-ს სამოქალაქო პოლიციის ქვედანაყოფს, რომელიც 11 საერთაშორისო პოლიციელითაა დაკომპლექტებული და ზუგდიდსა და მის შემოგარენში 2 წელია მოქმედებს, დანაშაულის ადგილზე არსებული კვალის ფიქსაციისთვის 5 ყუთ მასალას აჩუქებს.

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ხელისუფლება მეორე წელია, უარს ამბობს გალის რაიონში გაერო-ს სამოქალაქო პოლიციის აფხაზური ქვედანაყოფის საქმიანობის დაწყებაზე. გაერო-ს სამოქალაქო პოლიციის აფხაზეთის ტერიტორიაზე ამოქმედების შემთხვევაში, გერმანიის საელჩო აფხაზურ მხარეს სამოქალაქო პოლიციის აფხაზური ქვედანაყოფის ტექნიკური აღჭურვილობით უზრუნველყოფას ჰპირდება.

24 საათი

საქართველოს 28 წლის მოსამართლეები ეყოლება

უახლოეს ხანებში საქართველოს 28 წლის მოსამართლეები ეყოლება. აღნიშნული ცვლილება მას შემდეგ ამოქმედდება, რაც საქართველოს პარლამენტი საკონსტიტუციო ცვლილებებს მიიღებს, რომელიც საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა მოამზადა.

აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა კომიტეტის სხდომაზე გუშინ მოხდა. ცვლილებების მიხედვით, მოსამართლე შეიძლება გახდეს საქართველოს მოქალაქე 28 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება.

ცვლილებების მიხედვით, მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობისა. მოსამართლე არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი.

როგორც კომიტეტის სხდომაზე საკითხის წარმომდგენმა პარლამენტარმა ნიკა გვარამიამ განაცხადა, დღემდე მოსამართლეს არ შეეძლო პედაგოგიური და სამეცნიერო მოღვაწეობის განხორციელება. ცვლილებები შეეხება აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოსაც. შეიცვლება მთლიანად საკონსტიტუციო სასამართლოს ფორმირების წესი. დღემდე საკონსტიტუციო სასამართლოს აკომპლექტებდა სამივე ხელისუფლების შტო - მოსამართლეთა კორპუსი, საქართველოს პარლამენტი და საქართველოს პრეზიდენტი. პროექტის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს ცხრავე წევრობის კანდიდატს საქართველოს პრეზიდენტი წარუდგენს საქართველოს პარლამენტს, რომელიც შესაბამის შემადგენლობას აირჩევს.

ცვლილებების მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადა 10 წლით განისაზღვრება, ხოლო 5 წლის ვადით საკუთარი შემადგენლობიდან საკონსტიტუციო სასამართლო თავმჯდომარეს აირჩევს.

ახალი ცვლილებების მიხედვით, შემცირებულია აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრობის ასაკიც. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლის ასაკი 35-დან 30 წლამდე მცირდება.

ინტერპრესნიუსი

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს საქართველოს პარლამენტის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქიტექტურული განათების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 2 პოზიციად (ლოტად): 1.საქართველოს პარლამენტის არქიტექტურული განათება .

3. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქიტექტურული განათება.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება: აპარატურის შესყიდვა, მეტალზე ჩასატარებელი სამუშაოები (კორპუსების, კრონშტეინების წარმოება), სამონტაჟო სქემების დამუშავება და ინსტალაცია, აპარატურის და შემადგენელი კომპონენტების დასამონტაჟებლად მომზადება და მონტაჟი.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 2005 წლის 31 დეკემბერი.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 19 დეკემბრის 12 საათიდან 20 დეკემბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1 იურიდიული პირისათვის:

- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები)

- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

- ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

4.2 ფიზიკური პირისათვის:

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;

- ცნობას, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოს მიერ).

- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;

4.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;

- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

- ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

5. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილ უნდა იქნას ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 21 დეკემბრის 12 საათიდან 22 დეკემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, III-ე სართული, თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

8. ტენდერში პოზიციების (ლოტების) მიხედვით შესაძლებელია გამოვლინდეს რამდენიმე გამარჯვებული.

9.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნუგზარ კალაძე-საკონტაქტო ტელეფონი 99-64-13, მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

სატენდერო კომისია

დიდი მეცნიერისა და გამოჩენილი საზოგადო მოღვაწის ნათელ ხსოვნას

ქართულმა მეცნიერებამ დიდი დანაკლისი განიცადა: გარდაიცვალა დიდი ქართველი მეცნიერი, ეროვნული არქეოლოგიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი და პატრიარქი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, თბილისის საპატიო მოქალაქე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე.

ანდრია აფაქიძის სახელს, უპირველეს ყოვლისა, უკავშირდება არქეოლოგიური გათხრები და ძალზე მნიშვნელოვანი აღმოჩენები ისტორიული დიდი მცხეთის ტერიტორიაზე. მან დიდი ამაგი დასდო საქართველოს ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების, პიტიახშთა ინსტიტუტის ჩამოყალიბებისა და ჩვენი ქვეყნის ისტორიის სხვა უმნიშვნელოვანესი საკითხებისა და პრობლემების შესწავლას. ბატონ ანდრიას მრავალწლიანი შრომა ანტიკური ხანის ქართლის ქალაქების შესწავლის საქმეში 1964 წელს აღინიშნა ს. ჯანაშიას სახელობის პრემიით.

მცხეთაში დაწყებული ანტიკური ხანის ქალაქების შესწავლა ბატონმა ანდრიამ გააგრძელა აფხაზეთშიც. მისი ხელმძღვანელობით 1952-1974 წლებში ბიჭვინთაში ითხრებოდა გვიანანტიკური ხანის ქალაქი პიტიუნტი (შემდგომში ამ ნაქალაქარის გათხრებს ხელმძღვანელობდა პროფ. გურამ ლორთქიფანიძე). გათხრების დროს აღმოჩენილ იქნა თავდაცვითი, სამეურნეო და კულტურული დანიშნულების ნაგებობები, საყოველთაოდ ცნობილი ბიჭვინთის მოზაიკა, მდიდარი და მრავალფეროვანი კერამიკული ნაწარმი და სხვა მრავალი ძალზე საყურადღებო მონაპოვარი. პიტიუნტი იყო გვიანანტიკური ხანის საქართველოს სრულიად გამორჩეული სტრატეგიული პუნქტი, მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი და ციხქალაქი. ბიჭვინთის არქეოლოგიური გათხრების მონაპოვრები და შედეგები შესულია სამტომეულში, რომელიც აკადემიკოს ანდრია აფაქიძის რედაქტორობითაა გამოცემული. გვინდა შევნიშნოთ, რომ ეს არის ფუნდამენტური გამოცემა, რომელიც არქეოლოგიური მეცნიერებისათვის დიდი შენაძენია.

მნიშვნელოვანია აკადემიკოს ანდრია აფაქიძის დამსახურება აფხაზეთის მეორე ანტიკური ხანის ქალაქის დიოსკურიის შესწავლის საქმეშიც. დიოსკურიის ანუ თანამედროვე სოხუმის ტერიტორიაზე ბატონ ანდრიას მიერ ჩატარებული გათხრების შედეგები გამოქვეყნებულია ქართულ და რუსულ ენებზე შესრულებულ ნაშრომებში. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ 1953 წელს ანდრია აფაქიძის ხელმძღვანელობით სოხუმის ყურეში ჩატარდა წყალქვეშა არქეოლოგიური დაზვერვები. მისი ინიციატივით ჩამოყალიბდა არქეოლოგ-აკვალანგისტთა პირველი ჯგუფიც.

აკადემიკოს ანდრია აფაქიძეს სრულიად განსაკუთრებული და მრავალმხრივი ურთიერთობა ჰქონდა თავის საყვარელ აფხაზეთთან, სადაც ის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდხანს მოღვაწეობდა და გაგრაში ძალზე ახლო ნათესავებიც ჰყავდა. მას აფხაზი კოლეგები დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ექცეოდნენ. ისინი ანგარიშს უწევდნენ და ითვალისწინებდნენ ბატონ ანდრიას აზრს. კარგადაა ცნობილი ანდრია აფაქიძის საქმიანი კონტაქტები და გულითადი დამოკიდებულება აფხაზ მეცნიერებთან: ზურაბ ანჩაბაძესთან, გიორგი ძიძარიასთან, მიხეილ თრაფშთან, გიორგი შამბასთან და სხვებთან. გამწვავებული ურთიერთობების დროს ბატონი ანდრია ხშირად ჩასულა სოხუმში, მიუღია აფხაზი კოლეგები თბილისში და ყოველთვის ხელი შეუწყვია დაძაბულობის განმუხტვისათვის.

დაბოლოს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ბატონ ანდრია აფაქიძის ღვაწლი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიურ კომისიაში, რომელსაც ის სათავეში ათეული წლების განმავლობაში ედგა. მნიშვნელოვანია ბატონ ანდრიას ინიციატივები არქეოლოგიის დარგში ინტერდისციპლინარული კვლევის მეთოდების დანერგვის საქმეში. აკადემიკოს ანდრია აფაქიძის მოსწავლეები, დღეს უკვე ცნობილი მეცნიერები, ხელმძღვანელობენ დიდ არქეოლოგიურ ექსპედიციებს, განყოფილებებსა თუ სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებს.

აკადემიკოსი ანდრია აფაქიძე სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას, რაც ყველასათვის კარგადაა ცნობილი. ბატონმა ანდრიამ სულ რამდენიმე დღე იავადმყოფა და ღვთის ნებით მარადისობაში გადავიდა. მან ძალზე თვალსაჩინო მემკვიდრეობა დატოვა. მისი მოსწავლეები და მეგობრები გააგრძელებენ მის მიერ დაწყებულ დიდ საქმეებს როგორც მეცნიერებაში, ისე საზოგადოებრივ ასპარეზზე.

აკადემიკოს ანდრია აფაქიძის სახით საქართველომ და ქართულმა არქეოლოგიამ დიდი მოამაგე, საყოველთაოდ ცნობილი მეცნიერი და ბრწყინვალე საზოგადო მოღვაწე დაკარგა. მისმა გარდაცვალებამ დიდი გულისტკივილი გამოიწვია როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. მისი სახელი სამუდამოდ დარჩება არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო არქეოლოგიის ისტორიაში.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ჰუმანიტარული ფაკულტეტის ისტორიის საპროგრამო მიმართულების ხელმძღვანელი პროფ. ჯონი აფაქიძე

ნინო ქაკაბაძის სვეტი

ეს რულეტი სამარხვოა? და ეს?..

როდესაც მართლმადიდებლურ საქართველოში მარხვა იწყება, მაშინვე ისმის ეს მარადიული კითხვა: - ეს რულეტი (ტორტი, კატლეტი, სალათა, სოიოს იხვის ტოლმა, სოიოს ირმის ნეკნები, კუჭმაჭი და სხვა მრავალი) სამარხვოა? როდესაც ამ ფრაზას კიდევ ერთხელ და ბევრჯერ მოვისმენ, მაშინღა ვხვდები, რა ნოსტალგია მაქვს მარადჟამ მომარხულე მორწმუნეების მიმართ. მაშინღა ვგრძნობ სულიერ კავშირს სრულიად საქართველოსთან. აბა, რად ღირს ჩემი ცხოვრება მაშინ, როდესაც არავინ ცდილობს ჩემი ცოდვები მოინანიოს?!

ეპიზოდი წარსულიდან. დავდივარ ხალხით სავსე ქუჩებში, ზურგზე ცოდვებით სავსე ტომარა მკიდია, თვალებს ვაცეცებ და შველას ვითხოვ: გაინანწილეთ ჩემი ცოდვები და დამეხმარეთ, ჭეშმარიტად ქრისიტანებო. შემდეგ ჩამოვდგები ჩემი დედაქალაქის ერთ-ერთ ცენტრალურ "პიტაჩოკზე", მოვხსნი გუდას თავს და გადმოვალაგებ: მთელი ზაფხული საცურაო კოსტიუმში მამაოს კურთხევის გარეშე, ვინ მოთვლის, რამდენი მონეული სიგარეტის ღერი, რამდენჯერ გამოვამზეურე ქალის ყველაზე "ბინძური" ორგანო – ჭიპი, რამდენჯერ ჩავიცვი სხეულზე მომდგარი შარვალი, მე როგორ ვიკადრებ, მაგრამ რამდენი ფილმი ვნახე სექსუალურ ურთიერთობებზე, რამდენი ყელი ვჭამე ერთ-ერთი მარხვის დროს, რამდენჯერ ვანყენინე მეგობრებს – ბანანი მქონდა და არ ვაჭამე, სადილის მომზადება მთხოვეს და არ მოვუმზადე, კარგ ტუალეტში შემიშვიო, მე კიდევ ცუდში გავუშვი. "ჯეო-ბარსაც" შევხედე რამდენჯერმე, შვილს "ჰარი პოტერის" კითხვა არ ავუკრძალე, ტაძარში მანდილის გარეშე შევედი, დავჯექი და ფეხი ფეხზე გადავიდე, კი გამკიცხა ჭეშმარიტმა მართლმადიდებელმა, მაგრამ ცოდვა ხომ ცოდვად დარჩა. ეჰ, ვინ იცის და ვინ მოთვლის ყველა იმ ცოდვას, რომელიც ჩემი დანაშაულების ტომარაში ინახება. ვდგავარ ქალაქის ცენტრში, პიკის საათში, უამრავი ხალხი საქმიანად მიდის და მოდის, არავინ ცდილობს დამეხმაროს და, რაც ყველაზე ტრაგიკულია, არც მე ვიცი, ვინ არის ჭეშმარიტად ქრისტიანი, ვის ვთხოვო ჩემი ცოდვების გადანაწილება.

ეპიზოდი ანმყოში. ჩემი ცოდვებით სავსე ტომარას თავი მოვუკარი და ისევ ქუჩაში გავედი. ახლა ქალაქში ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ და მოდურ კაფე-ბართან გავჩერდი, იქ მეგულებოდნენ ჩემი მხსნელები, გუდას თავი მოვხსენი. არავისთვის დამიძახია, პირიქით, თვალები დავხუჭე და უახლოეს სკამზე ჩამოვჯექი. ხმები, როგორც ჰაეროვანი ტყვიები, ისე აღწევდა ჩემამდე: შოკოლადის სამარხვო ტორტი, სოიოს მწვადები, სოიოს ქალები, სოიოს კაცები, სოიოს ძროხები, ღორები, მწყერები, ინდაურები, მაკარონები, ღვეზელები, ბლინები, პიცები, ხაჭაპურები... ყველაფერი სოიოსია, ყველაფერი წმინდაა. აი, სად და რა დროს იკრიბებიან ჩემი მხსნელები. თვალი გავახილე თუ არა, უმალ შენიშნეს ჩემი მოწყალების მთხოვნელი თვალები, თავად მეახლნენ და თავად გამომიწოდეს დახმარების ხელი: მომეცი შენი უკურთხებელი "კუპალნიკი", ბიკინი, ბიუსტჰალტერი, ტანზე მოტმასნილი შარვალი, ნაჭამი ყველი და კარაქი, განაწყენებული მეგობრები, ახლობლები, ნათესავები. ოჰ, ეს ჭიპიც მომეცი - მე გავაკეთილშობილებ მას! სულ სათითაოდ წაიღეს და საბოლოოდ დაცალეს, ვინ იცის, რამდენი თვის დაგროვილი, ცოდვებით სავსე ტომარა. რა ბედნიერია ადამიანი, რა ადვილია მარხვის დროს ჭეშმარიტი მხსნელების ამოცნობა, რა დალევს სიკეთეს ამ ქვეყანაზე, როდესაც ამდენი სულიერი და-ძმანი შენნი, გვერდით, ყველა კაფესა თუ რესტორანში, ღამის კლუბსა თუ დისკოთეკაზე არიან, დადიან და აგროვებენ ცოდვილთა "საქმეებს" და შემდეგ ჩვენს მაგივრად ინანიებენ.

შენ შიდსი ხომ არ გაქვს?! მეტყვის ახლა, რომელიმე ჩემი სულიერი და ან ძმა, მით უმეტეს, რომ გუშინ შიდსთან ბრძოლის საერთაშორისო დღე იყო. ვიცი, შიდსის წინააღმდეგ დღეს სრულიად საქართველო იბრძვის. ნარკომანიას, როგორც შიდსის გავრცელების ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებას, სპეტაკი ივანე ებრძვის. "დამირეკეთ, მომიყევით, მომახსენეთ, სად და რომელ სახლში ცხოვრობს წმალის "ბარიგა"?!" – ღაღადებს იგი. უსაფრთხო სექსს კი არ ეხება. უსაფრთხო სექსს არც ჩვენი სულიერი წინამძღვრები მოგვიწოდებენ. არ იმრუშოთ, შვილნო ჩემნო! მორჩა და გათავდა! თუმცა, ძნელია თანამედროვე ცხოვრებაში, მაშინ როდესაც წელიწადის ძირითადი დრო სოიოს კატლეტების ჭამა გვიწევს, ანუ ჩვეულებრივ მოკვდავებს ალტერნატივა ჯერ ჯუმბერ პატიაშვილმა და შემდეგ მისმა მიმდევრებმა შეგვიქმნეს; სიყვარულის ანუ სექსის ალტერნატივა ჯერ ხომ ვერავინ მოიფიქრა. ვიცით, გივი გუმბარიძე მუშაობს ამ პროექტზე, მაგრამ ვიდრე პროექტი პრაქტიკულ, განხორციელებულ სახეს მიიღებს, რატომ არავინ ამბობს, - ნუ იმრუშბთ, გიყვარდეთ ერთმანეთი და სიყვარულის ჟამს იხმარეთ პრეზერვატივი!

ლაშა და გამოცდები

ლაშა ბუღაძე: "დიალოგების" სტუმარია დავით ზურაბიშვილი. დასაწყისში ვისაუბროთ იმ ინიციატივაზე, რომელიც წამოვიდა განათლების სამინისტროდან. იგი შემდეგში მდგომარეობს: 2006 წლიდან სახელმწიფო გრანტებს მიიღებენ მხოლოდ ის აბიტურიენტები, რომლებიც მაღალ ქულებს მოიპოვებენ ზოგადი უნარების ტესტებში წარმატების შედეგად. ცხადია თქვენ ეს ინიციატივა გააპრობატეთ. ამის შესახებ დაწვრილებით ვისაუბროთ.

დავით ზურაბიშვილი: განათლების რეფორმა ამოუწურავი თემაა. რაც შეეხება ამ კონკრეტულ საკითხს: ოდიოზურია გადაწყვეტილება, როცა ერთი საგნის მიხედვით, თანაც ის პრინციპში არცაა საგანი, მის საფუძველზე უნდათ სახელმწიფო გრანტის გაცემა. მე ამას ვერანაირად ვერ ვხსნი. რატომ ასე? ჭორების დონეზე გავიგე, თურმე ერთნი ამბობდნენ, რომ საჭიროა მხოლოდ უნარების ტესტის დატოვება ეროვნულ გამოცდებზე, მეორენი ეწინააღმდეგებოდნენ. ამიტომაც შუალედური არჩევანი გააკეთეს. გამოცდებში ახალი ინიციატივის მიხედვით გადამწყვეტი ეს ერთადერთი ტესტი იქნება. მასზე იქნება დამოკიდებული დაიმსახურებენ თუ არა გრანტს ახალგაზრდები. გაუგებარი და უსამართლოა ეს ყველაფერი. მე საერთოდ წინააღმდეგი ვარ, რომ ეს ტესტი იყოს ჩვენს სისტემაში, რადგანაც მე არ ვიცი არც ერთი ქვეყანა, გარდა ისრაელისა, სადაც მსგავსი ტიპის ტესტი იყოს გამოყენებული. ევროპაში ეს არსად არ არის, ისევე, როგორც აშშ-ში. ისრაელშიც არის რაღაც მსგავსი, თუმცა იქ პრიორიტეტი ენიჭება არა ამ ტესტს, არამედ სკოლის ატესტატს და სკოლაში მეღებულ ნიშნებს.

ლაშა ბუღაძე: როგორ ფიქრობთ, რა მიზეზით იქნა ეს ტესტი ჩვენი განათლების სისტემაში შეტანილი? საუბარია, რომ უნარების ტესტი ლოგიკური აზროვნების განვითარებას უწყობს ხელს...

დავით ზურაბიშვილი: მე ამას ვერ ავხსნი. როგორც ყველა სხვა სისტემაში, აქაც არის კონკრეტული პიროვნებების ახირებები. მან სადღაც ნახა და მოეწონა. ჩვენ ხომ მუდმივად ექსპერიმენტების ობიექტი ვართ. ექსპერიმენტები ტარდება ეკონომიკაში, სასამართლო სისტემაში, ენერგეტიკაში, ყველგან. ეს ტესტი არანაირად ხელს არ უწყობს ლოგიკის განვითარებას. ეს არის რეალურად ინტელექტის კოეფიციენტის ტესტი, ოდნავ გართულებული მათემატიკით. რას ნიშნავს ინტელექტის კოეფიციენტი? ეს არის ადამიანის უნარი, რომელიც მას აქვს იმის მიუხედავად, ისწავლა მან თუ არა. ეს ბუნებრივი მონაცემებია. შეუძლებელია რაღაც დონის მაღლა ახვიდე, თუ გონება არ არის სათანადოდ მოწყობილი. უნარების ტესტებისთვის მომზადება და რეპეტიტორებთან სიარული სასაცილოა, და კიდევ ერთი, შეიძლება აბსოლუტურ შედეგს ამ ტესტში მიაღწიოს წერა-კითხვის უცოდინარმა ადამიანმა. ეს გამოცდა ადამიანის პოტენციალს უჩვენებს და არა მის მომზადების დონეს, ეს კი გამოცდების დროს არ არის სწორე. ყველგან, ყველა უმაღლესი დონის დასავლურ უნივერსიტეტში, პირველ რიგში და უმთავრესად, ყურადღება ექცევა როგორ ისწავლე სკოლაში, კოლეჯში, როგორი ნიშნები გყავდა წლების განმავლობაში, როგორ გახასიათებენ პედაგოგები, საერთოდაც რა ტიპის ადამიანი ხარ და ა.შ. და არა იმას, როგორ შეავსებ შენ რაღაც გაუგებარი მიზნებისა და ამოცანების ტესტს. ჩვენთან ლოგიკას სცილდება ეს საკითხი: თუ არ გაინტერესებს სკოლის ნიშნები, იქ მიღებული ცოდნა, მაშინ რას ამოწმებ გამოცდებით, რა გინდა მიიღო? უნარების ტესტების მიხედვით ევროპაში ამოწმებენ რამდენად აკმაყოფილებს ადამიანის ინტელექტი სწავლის უნარიანობას, მუშაობის შესაძლებლობებს. ახალი დებულების მიხედვით სავალდებულოა ასევე ქართული ენისა და ლიტერატურის გამოცდა. ამ საგანს ეს სათაური სულ ტყუილად ჰქვია. იმდენად მარტივ ტესტამდე დაიყვანეს იგი.

ლაშა ბუღაძე: ჩვენ ეხლა ჩავრთავთ ქალბატონ სოფო დოლიძეს, ზოგადი უნარების ჯგუფის ხელმძღვანელს.

სოფო დოლიძე: ტესტის მთავარი დანიშნულება არის ის, რომ შეამოწმოს, შეძლებს თუ არა აბიტურიენტი სწავლის წარმატებით გაგრძელებას უმაღლეს სასწავლებელში, შეუძლია თუ არა ახალგაზრდას აკადემიური მასალის ადეკვატური გააზრება და ანალიზი. შესაბამისად ამ ტესტის არსებობა მისაღები გამოცდების სისტემაში აუცილებელია. ეს ტესტი რიგ სპეციალობებზე გადამწყვეტი ბოლომდე მაინც არ არის. მთავარი და გადამწყვეტი ჩარიცხვაა, თუ ადამიანი ვერ მოხვდა უმაღლეს სასწავლებელში, მაშინ რად უნდა ის გრანტი?! ამ შემთხვევაში საუბარი გვაქვს მხოლოდ გრანტის მიღებაზე და რატომ მოხდა გადაწყვეტილების ამ სახით წარდგენა ამ ეტაპზე, ეს ხომ არ არის საბოლოო გადაწყვეტილება. მთავარი არის ის, რომ უნარების ტესტი არის ერთადერთი, რომლის დროსაც ყველა აბიტურიენტი არის თანაბარ პირობებში; რომელიც არ ისწავლება სკოლაში. ეს არ არის ტესტი მხოლოდ სისწრაფეზე, ეს არის ტესტი დროის გაანალიზება-გადანაწილებაზეც. ეს არის ახალი ინფორმაციის გაანალიზების უნარის შესამოწმებელი. ჩარიცხვისთვის გადამწყვეტი სხვა საგნები რჩება, მაგრამ გრანტისთვის უნარების ტესტში მიღებული ქულები იქნება მთავარი. ასევე მნიშვნელოვანია, რომ არაქართველი მოსახლეობა არ აღმოჩნდეს წამგებიან პირობებში და არის კიდევ რიგი საკითხები, რომლის გააზრებითაც მივედით ამ დასკვნამდე.

დავით ზურაბიშვილი: საერთოდ გაუგებარია, ანუ ჩარიცხვისთვის ერთია გადამწყვეტი და გრანტის მოსაპოვებლად მეორე. მართალი გითხრათ, ერთადერთი, რაც გავიგე, მხოლოდ ისაა, რომ ეს განათლების სამინისტროს ეს გადაწყვეტილება არ არის საბოლოო.

ლაშა ბუღაძე: იმედი ვიქონიოთ, რომ ეს მართლაც ასეა. განათლების ახალი სისტემა, რომელიც მუდმივ ცვლილებებს განიცდის საბოლოო ფორმებს მიიღებს და ლოგიკურ დასკვნებსაც გამოიტანს.

ჰოლანდიის სამეფოს საელჩო მოხარულია გაცნობოთ, რომ იგი გადავიდა თავის ახალ ოფისში, რომელიც მდებარეობს სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასის" უკანა მხარეს (ყოფილი ბრიტანთის საელჩო).

საელჩო განაახლებს მუშაობას 2005 წლის 5 დეკემბერს.

საკონსულო განყოფილება ღიაა ორშაბათიდან ხუთშაბათამდე 9:30-დან 13:00 საათამდე.

ტელეფონისა და ფაქსის ახალი ნომრებია:

საელჩოს ტელეფონი	27 62 00
საელჩოს ფაქსი	27 62 32
საკონსულო განყოფილების ტელეფონი	27 62 22
საკონსულო განყოფილების ფაქსი	27 62 33

ProCredit Bank

ПРОКРЕДИТ БАНКИС შეტყობინება ობლიგაციების შეძენაზე საჯარო ხელმონერის გამოცხადების თაობაზე

სს "პროკრედიტ ბანკი" ობლიგაციების განთავსების მიზნით აცხადებს დამატებით საჯარო ხელმონერობას 2005 წლის 30 ნოემბრის დღის 9 საათიდან 2005 წლის 7 დეკემბრის 5 საათამდე.

გაიყიდება ერთი მილიონ ექვსასოცდახუთი ათასი ლარის ნომინალური ღირებულების ობლიგაციები საერთაშორისო საიდენტიფიკაციო ნომრით GE 2800503072.

გასაყიდად გამოტანილი ერთი ობლიგაციის ნომინალური ღირებულებაა 1,000 (ერთი ათასი) ლარი. შემოსავლიანობა შეადგენს წლიურ 14%-ს, ობლიგაციები გაიყიდება საანგარიშსწორებო ფასით - 886.44 (რვაასი ოთხმოცდაექვსი ლარი და 44 თეთრი) თითოეული ობლიგაციისათვის.

ობლიგაციების ნომინალური ღირებულების დაფარვა განხორციელდება 2006 წლის 6 ნოემბერს.

დაინტერესებული პირებს შეუძლიათ განაცხადი დადგენილი ფორმით ნარედგინონ პროკრედიტ ბანკს არაუგვიანეს 2005 წლის 7 დეკემბრის 5 საათისა. განაცხადის ფორმების მიღება შეიძლება პროკრედიტ ბანკში, აღმაშენებლის 154, ტელ.: 20 22 22 (2230); 20 22 22 (2060)

განთავსების შედეგები ობლიგაციების მყიდველებს ეცნობებათ ხელმონერის პერიოდის დასრულებიდან ორი სამუშაო დღის განმავლობაში და გამოქვეყნდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებით.

მცირე და საშუალო საწარმოთა საყურადღებოდ!

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა და ჟურნალი "საქართველოს ეკონომიკა" 2005 წლის 1 დეკემბრიდან 2006 წლის 20 იანვრამდე აცხადებენ ყოველწლიურ მცირე და საშუალო საწარმოთა კონკურსს შემდეგ ნომინაციებში:

- საუკეთესო მცირე ბიზნეს კომპანია ან ინდმეწარმე
- საუკეთესო საშუალო ბიზნეს კომპანია
- საუკეთესო ინოვაცია მცირე და საშუალო ბიზნესში (ახალი პროდუქციის, სერვისის ან ტექნოლოგიების დანერგვა)
- საუკეთესო ექსპორტიორი მცირე და საშუალო ბიზნესიდან
- საუკეთესო ფერმერი

კონკურსში მონაწილეობა უფასოა.

კონკურსის შედეგებს შეაჯამებს და გამარჯვებულებს, თითოეული ნომინაციის მიხედვით გამოავლენს პალატასთან შექმნილი საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაში შედიან ცნობილი ბიზნესმენები, ექსპერტები, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

შემუშავებულია კონკურსში მონაწილეობის პირობები. დაინტერესების შემთხვევაში, გთხოვთ, დაუკავშირდეთ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატას შემდეგ კოორდინატებზე:

ტელ: 22 30 63; 25 07 76
ფაქსი: 23 57 60
ელ-ფოსტა: info@gcci.ge
საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა
თბილისი, ჭავჭავაძის გამზ.11

კომპანია "არსის" "ქართული სახლით" თურქეთშიც დაინტერესდნენ

არქიტექტურისა და დეველოპმენტის კომპანია "არსი" 2005 წელს მეზობელი თურქეთის ხშირი სტუმარი იყო. ამ სტუმრობას ყოველ ჯერზე საქმიანი ხასიათი ჰქონდა, რამაც კომპანიის წარმატებათა ნუსხას "თურქეთული აღიარებაც" მოუტანა. ეს "აღიარება" "არსის" ერთ-ერთ პროექტს - "ქართულ სახლს" ერგო.

კომპანია "არსის" პროექტი "ქართული სახლი" 3 წლის წინ დაიწყო. პროექტის მიზანია ქართული ტრადიციული საერო არქიტექტურისა და დიზაინის ელემენტების მოძიება, აღდგენა და განვითარება დროისა და სივრცის შესაბამისად, ამასთან, დიზაინისა და არქიტექტურის ტრადიციების გახსენება, ფართო აუდიტორიისთვის გაცნობა და ამ ტრადიციებზე დაყრდნობით, მომავალი ქართული არქიტექტურის შექმნა. ამ ყოველივეს რეალობაში განხორციელება პროექტის ძიების საგანია. აქედან გამომდინარე, შემუშავებულია პროექტის ძირითადი მიმართულებები: **ღია ცის ქვეშ მუზეუმის რეაბილიტაცია, მუცოს (პირიქითა ხევსურეთი) გადარჩენა, სასწავლო კურსი და ქართული ტარდიციული არქიტექტურის პოპულარიზაცია.**

"მუზეუმთან თანამშრომლობის პერიოდში შექმნილი მასალები (მუზეუმის სარეაბილიტაციო ხარჯთაღრიცხვა, სახლი-ექსპონატების ნახაზების ელექტრონული ბიბლიოთეკა) ჩვენ გადავეცით მუზეუმის დირექციას. ამით პროექტის ეს მიმართულება ამ ეტაპზე ამოწურულია. მუცოს გადარჩენასთან დაკავშირებით, კომპანია "არსისა" და თიბისი ბანკის დაფინანსებით, 2004 წლის ზაფხულში მოეწყო ექსპედიცია, ავზომეთ ეს კომპლექსი, ჩავატარეთ ფოტო და ვიდეო ფიქსაცია, რომელთა საფუძველზეც მუცოს შესახებ შეიქმნა არქიტექტურული დოკუმენტაცია, რაც აქამდე არ არსებობდა. რაც შეეხება სასწავლო კურსს. მესამე წელია ვთანამშრომლობთ ტექნიკურ უნივერსიტეტთან, სადაც მიმდინარეობს სასწავლო კურსი "ქართული სახლი". არქიტექტურის ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტებს ეკითხებათ ლექციები ქართულ არქიტექტურასა და საერთოდ, ქართულ ტრადიციებზე", - ამბობს პროექტის "ქართული სახლის" ხელმძღვანელი **ნანა მეფარიშვილი.**

წელს ყველაზე წარმატებული პროექტ "ქართული სახლის" მეოთხე მიმართულება აღმოჩნდა. ეს მიმართულება ქართული ტარდიციული არქიტექტურის პოპულარიზაციას არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ გატანას გულისხმობს. პროექტს რამდენჯერმე უმასპინძლა თურქეთის სხვადასხვა ქალაქმა. ამის შესახებ **ნანა მეფარიშვილი** საუბრობს:

"უპირველესად, მინიშვნელოვანი იყო ჩვენი მონაწილეობა სტამბულში გამართულ მსოფლიო არქიტექტორთა კონგრესზე, სადაც თავს იყრიან მსოფლიოს ყველა ქვეყნის წამყვანი არქიტექტორები, ურბანისტები, დიზაინერები. კონგრესი 1948 წლიდან მოყოლებული, არქიტექტორთა საერთაშორისო კავშირის (UIA) ეგიდით ყოველ სამ წელიწადში ერთხელ იმართება. კონგრესის ჩატარების ადგილის საკითხი 6 წლით ადრე, 100-მდე ქვეყნიდან მოწვეული გენერალური ასამბლეის ხმათა უმრავლესობით წყდება. როგორც აღვნიშნე, 2005 წლის კონგრესის მასპინძელი თურქეთი და მისი არქიტექტორთა კავშირი იყო. სტამბულის კონგრესზე 7000-მდე დელეგატმა მოიყარა თავი. მათ საკუთარი უახლესი ნამუშევრები წარუდგინეს და გააცნეს არქიტექტორებს, სტუდენტებს, კლიენტებს, მეწარმეებს, სხვადასხვა ტექნოლოგიების სპეციალისტებს, პრესის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ პირებს. კონგრესში მონაწილეობის ფორმა სხვადასხვაგვარი იყო - ჩვენებები, პოსტერების გამოფენები, მულტიმედია შოუები, ე.წ. "სფიქერების კუთხეები" და ასე შემდეგ. ჩვენ ჩვენი პროექტის "ქართული სახლის" მსოფლიო კონგრესზე წარსადგენად ფორმა - "თემატური შეხვედრები" (Topical Meeting) ავირჩიეთ. გავერთიანდით თემის ქვეშ "ახალი ფორმები არქიტექტურულ განათლებაში". "ქართული სახლი - წარსულის მომავალი" - ასეთი იყო ჩვენს მიერ წარმოდგენილი თემა და სასწავლო კურსს ეხებოდა. ნიშანდობლივია, რომ კონგრესზე ამ საკითხმა დიდი დაინტერესება გამოიწვია. უცხოელმა არქიტექტორებმა განსაკუთრებით, კურსის ფორმის ორიგინალობა მოიწონეს და ერთხმად აღიარეს კიდეც, მისი აუცილებლობა. გამოცდილმა სპეციალისტებმა რამდენიმე სასარგებლო რჩევაც მოგვცეს.

საყურადღებო და მნიშვნელოვანი შენიშვნები გამოითქვა. წაღებული გვქონდა ღია ბარათები, ბუკლეტები... შევეცადეთ გაგვეცნო მათთვის, თუ რა არის ქართული სახლი. აღმოჩნდა, რომ მიზანს მივაღწიეთ - მსოფლიო დონის არქიტექტორები ქართული სახლით, მისი არქიტექტურული მნიშვნელობით დაინტერესდნენ."

ამ ინტერესს ლოგიკური გაგრძელება მოჰყვა - "ქართული სახლი" მიპატიჟებას იღებს ქალაქ ყარსიდან, სადაც 30 სექტემბრიდან 2 ოქტომბრამდე "კავკასიის კულტურის მეორე ფესტივალი" გაიმართა. ფესტივალის ორგანიზატორები იყვნენ ყარსის მერია, "მემკვიდრეობის გლობალური ფონდი" (Global Heritage Fund), რომელიც ყარსის აღდგენისა და რევიტალიზაციის პროექტს ამუშავებს, და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთაგანაც ერთ-ერთი მთავარი ორგანიზატორი იყო "ანატოლია კულტური" (Anadolu kultur). სწორედ "ანატოლია კულტური"-ს უშუალო მიწვევით, საქართველოდან, სხვა მონაწილეებთან ერთად, კომპანია "არსიც" იყო წარმოდგენილი - პროექტით "ქართული სახლი".

ფესტივალი ყარსის, ამ ისტორიული მნიშვნელობის ქალაქის კულტურის კერად გადაქცევის მიზნით, წელს უკვე მეორედ გაიმართა, თუმცა მას საერთაშორისო დანიშნულებაც აქვს - მიზნად ისახავს ეროვნებათა შორის კულტურული დიალოგის ხელშეწყობას.

"თურქეთთან, აზერბაიჯანსა და სომხეთთან ერთად, ფესტივალში ქართული მხარეც აქტიურად იყო ჩართული - გამოფენებში, ფილმების ჩვენებებსა თუ "ვორქშოფებში" მონაწილეობის სახით. ყარსში კომპანია "არსი" წარმოდგენილი იყო პროექტის "ქართული სახლი" ფარგლებში, თბილისის ღია ცის ქვეშ მუზეუმში გადაღებული ფოტოების გამოფენით. ნიშანდობლივია, რომ ჩვენს გამოფენას ყარსის ცენტრში მდებარე ერთ-ერთი ძველი აბანოს ინტერიერი დაეთმო. როგორც ფესტივალის ორგანიზატორებმა აღნიშნეს, ეს პირველი ღონისძიება იყო, რაც დროებით ფუნქციაშეცვლილ აბანოში გაიმართა", -- ამბობს **ნანა მეფარიშვილი.**

გამოფენა ყარსის მერმა ნაიფ ალიბეუღლუმ და "ქართული სახლის" ხელმძღვანელმა ნანა მეფარიშვილმა საზეიმოდ გახსნეს. გახსნას ფესტივალის მონაწილეები და ადგილობრივი მცხოვრებლები დაესწრნენ. გამოფენა ერთი კვირა გაგრძელდა. ერთი კვირის შემდეგ კი ყარსის ხელოვნების ცენტრში გადაინაცვლა, სადაც კიდევ ორი კვირა გაგრძელდა. გამოფენას ინტერესი და დამთვარიელებელი არ მოჰკლებია.

ნანა მეფარიშვილი: "ყარსში გამართულ გამოფენაზე ძირითადად, წარმოდგენილი იყო ღია ცის ქვეშ მუზეუმში, აჭარის ზონაში გადაღებული ფოტოები. გამოფენისადმი ინტერესს ისიც აძლიერებდა, რომ დამთვარიელებლებმა ბევრი საერთო ნახეს თურქული და აჭარული საცხოვრებელი სახლების არქიტექტურას შორის. ყარსშივე გადაწყდა, რომ ეს გამოფენა თურქეთის სხვა ქალაქებშიც მოეწყოთ. ანკარასთან ახლოს არის ქალაქი ყაისარი, სადაც გამოფენამ "ქართული სახლი" ყარსის მერე დაიდო ბინა. გამოფენა 25 ნოემბერს გაიხსნა და დამთვარიელებელს 15 დღის განმავლობაში შეეძლება ფოტოების დათვალიერება".

და კიდევ ერთი, ქართულ და თურქულ არქიტექტურაში საერო შტრიხების აღმოჩენა მხოლოდ ამით არ დასრულებულა.

ნანა მეფარიშვილი: "სტამბულში, კონგრესის პროგრამით გათვალისწინებულ ერთ-ერთ გამოფენაზე, გალერეის წიგნების მაღაზიაში იყიდებოდა წიგნი "რურალური არქიტექტურა შავი ზღვის აღმოსავლეთის რეგიონში" (Rural Architecture in the Eastern Black Sea Region). სათაურიდან და შინაარსიდან გამომდინარე, ამ წიგნმა ჩვენი დაინტერესება გამოიწვია. ეს წიგნი წარმოადგენს დიდ ფოტო-გამოფენას, ე.წ. ნაბეჭდი პოლიგრაფიული სახით. იგი გამოცემულია "მილი გალერეის" მიერ (Milli Reas rans Art Gallery). 256 გვერდიან გამოცემაში ალი კონიალის მიერ თურქეთის, კერძოდ კი შავი ზღვის აღმოსავლეთ ტერიტორიაზე გადაღებული 500-ზე მეტი ფოტოა შესული. ფოტოებზე რეგიონის არქიტექტურა და ცხოვრების წესია აღბეჭდილი. საოცარი მსგავსებაა ამ რეგიონისა და აჭარის არქიტექტურას შორის (ეს არცაა გასაკვირი, აჭარისა და თურქეთის მეზობლობის გამო). სწორედ ამიტომ "ქართულ სახლს" გაუჩნდა იდეა, ეს გამოფენა თბილისში ჩამოვიტანოთ. ჩვენ დავუკავშირდით წიგნის გამომცემლებს, გამოფენის ორგანიზატორებს და გამოფენის მოწყობაზე შევთანხმდით. სავარაუდოდ, აპრილში გამოფენას "არსის გალერეა" უმასპინძლებს. მიმაჩნია, რომ ეს ფოტოგამოფენა ძალიან საინტერესო იქნება არა მარტო პროფესიული, ანუ არქიტექტურული წრისთვის, არამედ რიგითი მოქალაქეებისთვისაც, რადგან მსგავსება ამ ორი მეზობელი ქვეყნის საცხოვრებელ სახლებს შორის მართლაც ძალიან თვალშისაცემი და შთამბეჭდავია."

მაია ტაკიძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

იუნესკოს თანადაფინანსების სასტიპენდიო პროგრამის ფარგლებში ჩეხეთის მთავრობა 2006-2007 სასწავლო წლისათვის აცხადებს კონკურსს შემდეგ სტიპენდიებზე:

- საბაკალავრო (3-4 წელი) და სამაგისტრო (4-6 წელი) სწავლების პროგრამები;
- სამაგისტრო სწავლების პროგრამა (2-3 წელი, საბაკალავრო პროგრამის გაგრძელება);
- სადოქტორო სწავლების პროგრამა (3 წელი);

კონკურსში მონაწილეთა ასაკი საბაკალავრო სწავლების პროგრამაში არ უნდა აღემატებოდეს 28 წელს, ხოლო სამაგისტრო და სადოქტორო სწავლების პროგრამაში 35 წელს.

სასწავლო პროგრამა მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- აგრონომიული (ტროპიკული და სუბტროპიკული აგრონომია);
- მებაღეობა;
- სამოქალაქო მშენებლობა;
- ელექტროტექნიკა;
- მანქანათმშენებლობა;
- ატომური და ფიზიკური ტექნიკა;
- მსუბუქი მრეწველობა;
- მედიცინა; ჯანდაცვა; ფარმაცევტული; ვეტერინარია;
- გარემოს დაცვა;
- ქიმიური ტექნოლოგია;
- სამთო და გეოლოგია;
- მათემატიკა და ფიზიკა;
- სატყეო საქმე;
- ჰიდროლოგია;
- ჰუმანიტარული (იურიდიული, ფილოლოგიური), სიციალური მეცნიერება, თეოლოგია;
- ეკონომიკა;
- ინფორმაციული ტექნოლოგიები;
- ფიზიკური განათლება და სპორტი;
- სატრანსპორტო სისტემები;

ზემოაღნიშნული სპეციალობებიდან სადოქტორო პროგრამა არ მოიცავს მედიცინის სფეროს.

სამინისტროში ჩატარებული კონკურსის შედეგად შეირჩევა 2 კანდიდატი, საბოლოო გამარჯვებულს კი გამოავლენს ჩეხეთის მხარე.

სტიპენდიის მიღების მსურველებმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

- განცხადება
- ქართულ ენაზე შევსებული ანკეტა 10 ეგზემპლიარად (ანკეტის ფორმას მიიღებთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში)
- ინგლისურ ენაზე შევსებული ანკეტა (ანკეტის ფორმას მიიღებთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში)
- ორი ფოტოსურათი
- დიპლომის ასლი ან ცნობა საგანმანათლებლო დაწესებულებიდან და ნიშნების ფურცელი
- სარეკომენდაციო წერილი

საბუთების წარდგენის ბოლო ვადაა 15 დეკემბერი

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს შემდეგ მისამართზე:

დიმიტრი უზნაძის 52
ოთახი N129
ტელეფონი: 95 70 10 ფაქსი: 95 70 10

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ს.ს.ი.პ საზოგადოებრივი მაუწყებელი აცხადებს სატელევიზიო მექანიკის თარგმნა-გახმოვანებაზე ღია ტენდერს

რეკვიზიტები - ქ. თბილისი კოსტავას ქ. N68

სატენდერო პირობები:

ლოტი 1 მხატვრული ფილმები - 572 საათი 2-4 ხმაში
ლოტი 2 დოკუმენტური ფილმები - 416 საათი 1-2 ხმაში
ლოტი 3 მხატვრული სერიალები - 520 საათი 4 ხმაში
ლოტი 4 ანიმაციური ფილმები - 208 საათი 2-4 ხმაში

ტენდერში .მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმნის დართვით) 2005წ. 19 დეკემბრის 17 საათამდე. შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას 68 ოთახი N 341.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

- ცნობას საქართველოს რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
- ცნობას, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვისმათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

ფიზიკური პირებისათვის:

- ცნობას, შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია;
- ცნობას, შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.
- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
- სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს

როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მომსახურების შესახებ;
- ცნობა შესყიდვაში მონსწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. (აუდიტის დასკვნა)

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი ქართულ ენაზე პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის (500ლ.) გადახდის შემდეგ, 2005წ. 21 დეკემბრის 10 საათიდან 22 დეკემბრის 17 საათამდე. შემდეგ მისამართზე: თბილისი, კოსტავას 68 ოთახი N 341.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - ზამთარაძე ნათია. ტელ: 33-23-64

ᲙᲠᲘᲖᲘᲡ

ᲝᲡᲙᲐᲠᲘ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ, ᲝᲡᲙᲐᲠᲘ ᲛᲝᲓᲘᲡ

ᲒᲘᲒᲐ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ

სამი სხვადასხვა წონითი კატეგორიის ჩემპიონთან ფლოიდ მეივეზერ-უმცროსთან (ის წონითი კატეგორიების გაუთვალისწინებლადაც მსოფლიოს უძლიერეს მოკრივედ ითვლება) შეხვედრის ალბათობას არანაკლებ ძლიერი მოჩხუბარი, ჯერჯერობით კი პენსიაზე მყოფი ოსკარ დე ლა ჰოია წინდაწინვე გამორიცხავდა. თვენახევრის წინ ამბობდა კიდეც, მეივეზერს რომ არ შევხვდები, დიდი ხანია გადავწვიტე და აზრის შეცვლას არ ვაპირებო. მიზეზი? დიდი ხანია, რაც დე ლა ჰოიას მწვრთნელობას ფლოიდ მეივეზერის მამა მეივეზერ-უფროსი ეწევა. მისდამი პატივისცემა ნებას არ მაძლევს ჩემი მწვრთნელის შვილს შევერკინოო! აი, ასე, მაგრამ კრივში ხომ ყველაფერი მოსულა?!

ოსკარი დასაბრუნებლად და წასასვლელად ემზადება.

"ნიუ იორკ პოსტისთვის" მიცემული ინტერვიუთი თუ ვიმსჯელებთ, ექვს სხვადასხვა წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, ბარსელონის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, პრომოუტერი და ბიზნესმენი, "ოქროს ბიჭუნად" წოდებული ოსკარ დე ლა ჰოია გაისად რინგს ორი ორთაბრძოლით უბრუნდება და მერე... Adios Amigo!

თუ ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც დე ლა ჰოია ფიქრობს, მეივეზერთან (35 გამარჯვება, აქედან 24 ნოკაუტით. დღემდე წაუგებელია) ჩხუბს გამოსამშვიდობებელი ორთაბრძოლის დატვირთვა ექნება და მას გაისად სექტემბერში უნდა ველოდოთ.

"უნდა ვაღიარო, რომ ჩემი გამოსათხოვარი ორთაბრძოლა ნახევრად საშუალო წონაში ფლოიდ მეივეზერთან ძალზე საინტერესო იქნება. არასდროს ამირიდებია თავი არც სირთულეებისთვის და არც დიდი ორთაბრძოლებისთვის. მიმაჩნია, რომ ჩვენი შერკინება შესაძლებელია. ნახევრად საშუალო წონაში სერიოზული მეტოქე მჭირდება, მასთან ჩხუბი კი ძალიან მაგარი უნდა იყოს. ეს ყოველივე კრივისთვის უდიდესი მოვლენა იქნება".

მიუხედავად იმისა, რომ ფლოიდ მეივეზერის მამა ოსკარს წვრთნიდა, თავად მეივეზერი ყოველთვის ოცნებობდა მამის შეგიერდთან შერკინებასა და იმ ფულზე, რომელიც მათი შერკინების შედეგად ფლოიდის ბიუჯეტს გაზრდიდა: "ეს ყველაზე მაყუთიანი კრივი იქნება. მგონია, რომ მე და ოსკარმა ასეთ შესაძლებლობაზე უარი არ უნდა ვთქვათ".

ვიდრე მეივეზერ-უმცროსს შეერკინება, დე ლა ჰოიას მაისშიც სურს რინგზე გასვლა. ამჟამად ოსკარს სამაისო ორთაბრძოლისთვის მოლაპარაკებები გაუმართავს რიკარდო მაიორგასთან (28 გამარჯვება, აქედან 23 ნოკაუტით, ერთი ფრე და ხუთი წაგება), თუმცა, არც იმას გამორიცხავს, რომ შესაძლო მეტოქედ მოგვევლინოს აიკ კვორტეი (30 გამარჯვება, აქედან 30 ნოკაუტით, 2 წაგება და ერთი ფრე), რომელიც ხანგრძლივი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა კრივს.

სხვათა შორის, დე ლა ჰოიას კვორტეისთან 1999 წელს უჩხუბია და მოუგია კიდეც, მაგრამ ოსკარის მაშინდელი გამარჯვება ბევრმა არადამაჯერებლად ჩათვალა. ამიტომაცაა, რომ დე ლა ჰოია კვორტეისთან განმეორებით ორთაბრძოლას გულშემატკივართათვის სასურველად და საინტერესოდ მიიჩნევს. მანამდე კი აიკს შაბათს კარლოს ბოხორკესთან (25 გამარჯვება, აქედან 21 ნოკაუტით, 7 წაგება და 6 ფრე) გამოცდა აქვს ჩასაბარებელი. ვნახოთ, როგორ წარმოაჩენს საკუთარ თავსო.

მანამდე უქმად ყოფნას არც მეივეზერ-უმცროსი აპირებს. დე ლა ჰოიასთან შერკინებამდე ფლოიდს მარტში ორთაბრძოლა უნდა, თუ, რა თქმა უნდა, მის გამოწვევას მიიღებს ნახევრად საშუალო წონის აბსოლუტური ჩემპიონი ზაბ ჯუდა (34 გამარჯვება, აქედან 25 ნოკაუტით და 2 წაგება).

დაბოლოს, გასარკვევია, შეძლებს თუ არა ოსკარი წინააღმდეგობა გაუწიოს მეივეზერ-უმცროსს. ერთადერთი, რაშიც შეიძლება დე ლა ჰოიამ ფლოიდს აჯობოს, დარტყმის ძალა იქნება. სისწრაფეში ასაკის გათვალისწინებით, ალბათ, ვერ დაჯაბნის მეტოქეს. მეივეზერს კი ის უნდა უხაროდეს, რომ დე ლა ჰოიას მსგავს მოკრივესთან არასდროს უჩხუბია.

საკითხავია ისიც, თუ ვინ გაწვრთნის ოსკარს. ძნელი დასაჯერებელია, საკუთარი შვილის წინააღმდეგ მეივეზერ-უფროსმა მოამზადოს დე ლა ჰოია. მხოლოდ ერთი რამაა უეჭველი. თუ დე ლა ჰოია-მეივეზერ-უმცროსის მატჩი მართლა შედგა, ორგანიზატორები ფულსაც ბევრს ჩამოვლენ. ბოლოს და ბოლოს, ოსკარ დე ლა ჰოიას გამოსამშვიდობებელ ორთაბრძოლასთან გვაქვს საქმე.

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲐᲓᲘ Ა/ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲨᲔᲡᲧᲘᲓᲕᲐᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის მიერ 2005 წლის 30 ნოემბერს უცხოური წარმოების მეორადი ა/მანქანების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოქვეყნებულ განცხადებაში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1.დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 15 დეკემბრის 12 საათიდან 15 დეკემბრის 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, III სართული, ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

2.სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს, 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შეეძლებათ 2005 წლის 16 დეკემბრის 12 საათიდან 16 დეკემბრის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას I შესახვევი, N33, III სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

ᲡᲔᲠᲕᲘᲔᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

წარმოადგენს უდიდეს კეძო ფარმაცევტულ კომპანიას საფრანგეთში, ინოვაციური, კვლევებზე ორიენტირებული სტრუქტურით, რომლის პროდუქცია წარმოდგენილია მსოფლიოს 140-ზე მეტ ქვეყანაში.

ამჟამად მიზნად გვაქვს დასახული საქართველოში ჩვენი წარმომადგენლობის გაფართოება, რისთვისაც გვესაჭიროება

ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ
ᲔᲥᲘᲛᲘ/ᲤᲐᲠᲛᲐᲪᲔᲕᲢᲘ

არჩეული პირის ძირითადი ფუნქცია იქნება რეგულარული ვიზიტები ექიმებთან სამედიცინო დაწესებულებებში და სამედიცინო ღონისძიებათა ორგანიზება - კომპანიის მედიკამენტთა პრომოციის მიზნით.

გვესაჭიროება 30 წლამდე ასაკის ენთუზიასტი, მოტივირებული პიროვნება, რომელსაც გააჩნია კომუნიკაციის განსაკუთრებული უნარი, გამოკვეთილი ორგანიზატორული თვისებები და არ უჭირს ცვალებად გარემოსთან ადაპტაცია. სასურველია სამედიცინო წარმომადგენლად მუშაობის გამოცდილება.

კანდიდატებს მოეთხოვებათ უმაღლესი სამედიცინო ან ფარმაცევტული განათლება, ქართული, ინგლისური და რუსული ენების უნაკლო ცოდნა.

არჩეული კანდიდატები გაივლიან ინტენსიურ ტრეინინგს, დაენიშნებათ შესაბამისი ანაზღაურება და მიეცემათ შემდგომი პროფესიული ზრდის შესანიშნავი შესაძლებლობა.

გთხოვთ გამოგზავნოთ თქვენი დეტალური CV (ავტობიოგრაფია) და 1 ფოტოსურათი 2005 წლის 16 დეკემბრამდე, შემდეგ მისამართებზე:

"ლე ლაბორატუა სერვიეს"
წარმომადგენლობა საქართველოში
თბილისი, 0105,
ლესელიძის ქ. N44
ტელ: (+99532) 75 42 24
ფაქსი: (+99532) 75 10 72
E-mail: ia.bakuradze@access.sanet.ge
ან
ORS
22, rue Garnier
92 578 Neuilly Cedex, France
Fax : +33 1 55 72 32 76
E-mail: araine.duboche@fr.netgrs.com

ᲡᲔᲠᲕᲘᲔᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲯᲒᲣᲤᲘ

წარმოადგენს უდიდეს კეძო ფარმაცევტულ კომპანიას საფრანგეთში და ერთ-ერთ წამყვანს - მსოფლიოში. ამჟამად მიზნად გვაქვს დასახული საქართველოში ჩვენი წარმომადგენლობის გაფართოება და გვესაჭიროება

ᲛᲔᲓᲘᲕᲐᲜᲘ

დანიშნული პირის პასუხისმგებლობაში შევა კომპანიის ადმინისტრაციული და ორგანიზაციული საქმიანობის განხორციელება.

სასურველ კანდიდატს მოეთხოვება:
- კომპიუტერული პროგრამების (MS Office, MS Mail) საფუძვლიანი ცოდნა;
- ინგლისური და რუსული ენების უნაკლო ცოდნა (ფრანგული ენის ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად);
- მუშაობის მინიმუმ 2-წლიანი გამოცდილება;
- ორგანიზებულობა და მოტივირებულობა;
- კომუნიკაბელურობა და ცვალებად გარემოსთან ადაპტაციის უნარი;
- დამოუკიდებლად მუშაობის და საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღების უნარი.

ჩვენ გთავაზობთ :

ოპტიმალურ სამუშაო პირობებს და მაღალ ანაზღაურებას.

გთხოვთ გამოგზავნოთ თქვენი დეტალური CV, წერილი თქვენი მოტივაციის მოკლე აღწერით და 1 ფოტოსურათი 2005 წლის 16 დეკემბრამდე, შემდეგ მისამართებზე:

"ლე ლაბორატუა სერვიეს"
წარმომადგენლობა საქართველოში
თბილისი, 0105,
ლესელიძის ქ. N44
ტელ: (+99532) 75 42 24
ფაქსი: (+99532) 75 10 72
E-mail: ia.bakuradze@access.sanet.ge
ან
ORS
22, rue Garnier
92 578 Neuilly Cedex, France
Fax : +33 1 55 72 32 76
E-mail: araine.duboche@fr.netgrs.com

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲓᲘᲡᲢᲠᲘᲑᲣᲪᲘᲝ ᲔᲜᲔᲠᲒᲝᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ
UNITED ENERGY DISTRIBUTION COMPANY OF GEORGIA

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲡᲡ "ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲓᲘᲡᲢᲠᲘᲑᲣᲪᲘᲝ ᲔᲜᲔᲠᲒᲝᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ"-Ს ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲢᲔᲜᲓᲔᲠᲡ ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲛᲠᲘᲪᲮᲕᲔᲚᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲑᲔᲜᲖᲘᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲧᲘᲓᲕᲐᲖᲔ
ᲝᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ Ქ. N6, 0160. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ

შესყიდვის ობიექტებია:

ლოტი N1	მისაწოდებელი საქონლის დასახელება	რაოდენობა	მიწოდების ადგილი
1	ცალფაზა მრიცხველი	9000	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
2	50 ამპ.ორპოლუსა აეტომატური ამომრთველი	9500	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
3	100 ამპ. სამპოლუსიანი აეტომატური ამომრთველი	1100	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
4	200 ამპ. სამპოლუსიანი აეტომატური ამომრთველი	500	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
ლოტი N2			
1	2-მრიცხველიანი კარადა	2500	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
2	3-მრიცხველიანი კარადა	5000	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
3	9-მრიცხველიანი კარადა	500	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
4	12-მრიცხველიანი კარადა	450	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
5	16-მრიცხველიანი კარადა	375	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
6	რკინის კარადები ძალოვანი კაბელების გამანაწილებისათვის (ძალოვანი გამანაწილებელი)	600	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
ლოტი N3			
1	გამანაწილებელი საფენი 2X1000² (ალუმინი)	900000	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
2	ძალ. კაბელი კარადიდან მრიცხველების კარადამდე 4X35мм² (ალუმინი)	22000	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
3	ძალ. კაბელი კარადიდან მრიცხველების კარადამდე 4X50мм² (ალუმინი)	7000	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
4	ძალოვანი კაბელის 4X35мм²-ის ბუნიკი (მოკალული)	8500	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
5	ძალოვანი კაბელის 4X50мм²-ის ბუნიკი (მოკალული)	9000	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
6	დაბალი ძაბვის იზოლატორი	27000	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
7	დაბალი ძაბვის იზოლატორის კაკი	12500	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
8	დაბალი ძაბვის იზოლატორის ტრაეერსა	1500	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
9	გამანაწილებელი საფენის 2X1000²-ის სამაგრი	320000	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
10	გამანაწილებელი საფენის 4X35мм²-ის სამაგრი	19000	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
11	გამანაწილებელი საფენის 4X50мм²-ის სამაგრი	12000	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
ლოტი N4			
1	ყგუტი 150 მმ	120000	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
2	პლასტმასის მილი D=70 მმ	2500	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
3	დამცავი გარსაცმი კაბელისათვის	41000	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
4	პერფორირებული რკინა D=18 მმ	10500	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
5	პლასტმასის ფუბელი N10	4300	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
6	თუთიამჭრელი სქელალი(შურუფი) სიგრძე 80 მმ	4300	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
7	პლასტმასის ფუბელი N6	190000	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
8	თუთიამჭრელი სქელალი(შურუპი) სიგრძე 3088 მმ	190000	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
9	სამაჯური N53200 (კაბელისათვის4X35; 4X50)	3000	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
10	მაერთებელი კოლოფი გაფეანილობის ბმონენტთან მისაერთებლად	20000	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
11	მაერთებელ კოლოფში ჩასასმელი კლემნიკი	17000	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
12	სამაგრი(ანკერები კარადების კედელზე დასამაგრებლად) მ 10	7000	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
13	ქანრ-ჭანჭიკი მ 8 (სიგრძე 25მმ)	1900	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
14	ქანრ-ჭანჭიკი მ 10 (სიგრძე 25მმ)	8000	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
15	საკეტური ("შაიბა") მ 10 ჭანჭიკზე	14000	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
16	გოფრირებული მილი (კაბელის დასაცავად მისანვდომ ადგილებში)	5000	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
ლოტი N5			
1	რკინა-ბეტონის ბოძი	3300	ქ. თბილისი ქ. მცხეთა
ლოტი N6			
1	ბენზინი		

შესასყიდი საქონლის დეტალური აღწერა მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად,(ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 თვის განმავლობაში) ზემოთ ჩამოთვლილ მისამართებზე ცხრილის მიხედვით.

დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე, (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის დართვით) **2005 წლის 8 დეკემბრის 16:00 საათამდე**, შემდეგ მისამართზე: თბილისი (0160). ონიაშვილის ქ. N6, ტელ: **387199, 387499**

სავალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიული პირებისათვის:

1. ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა: (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან):
2. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია: (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან):
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილების მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით; (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ - შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან):
4. ცნობა იურიდიული პირის ხელმძღვანელის (დირექტორი, პრეზიდენტი) იდენტიფიკაციის შესახებ. (ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან რეგისტრაციის შესახებ).

ფიზიკური პირებისათვის:

1. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედუნარიანია:
2. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ იგი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
3. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების საქმის წარმოება;
4. მეწარმის სარეგისტრაციო მოწმობა.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი დასახელებულ იქნება პრეტენდენტად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის პერიოდში წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია პრეტენდენტებს გადაეცემათ მისამართზე - სს საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია, ონიაშვილის N6, **2005 წლის 12 დეკემბრის 16:00 საათამდე**,

სატენდერო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს მოსაწოდებელი საქონლის ნიმუშები. დასაშვებია ალტერნატიული წინადადებების წარმოდგენა.

პრეტენდენტები თითოეულ ლოტზე წარმოადგენენ ერთ სატენდერო წინადადებას დახურული კონვერტით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირს - **გიორგი თათილაშვილს, ტელ: 38 71 99, (შიდა - 229 ან 259) ელ.ფოსტა - giorgi.tatilashvili@uedc.ge, ონიაშვილის N6**

X700

Дело не ждет!

Представьте телефон, органично сочетающий элегантный дизайн и исключительную функциональность. Телефон, в котором есть все, чтобы Вы могли уверенно чувствовать себя в мире бизнеса. Телефон для действительно успешных людей. Samsung X700. Легко представить.

- 1,3-мегапиксельная камера • Цветной TFT-дисплей (262 144 цвета)
- Стереозвук • FM-радио • MP3 / AAC плеер • MPEG4 видеоплеер
- Карта памяти TransFlash™ • 40-тональная полифония
- Bluetooth • EDGE

ELIT ELECTRONICS

Elit Electronics – официальный дистрибьютор компании Samsung Electronics в Грузии

Адреса магазинов: г. Тбилиси,
ул. Марджанишвили №47 / Тел: (822) 94 24 72
ул. Агмашенебели №146 / Тел: (822) 96 28 67
ул. Хизанишвили №53 / Тел: (822) 35 69 95

3 года бесплатного сервисного обслуживания.